

**უხსო ქვეყნის სასამართლო  
გადანყვეტილებების  
საქართველოს ტერიტორიაზე  
ხნობა და აღსრულება**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2016, №10

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2016, №10

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2016, №10

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2016, №10

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ქეთევან შინგალია**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# 1. ვალდებულებითი სამართალი

## თანხის დაკისრება

### განჩინება

№ა-508-შ-12-2015

22 ივლისი 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-იმ“ საარბიტრაჟო სარჩელი აღძრა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „N“-ის მიმართ 49 142,16 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „N“-ს („N“ LTD) (საქართველო) საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-ის“ (უკრაინა) სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების თანხა 45 204,50 აშშ დოლარი 2013 წლის 25 იანვრის №3/01-2013 ხელშეკრულების მიხედვით, აგრეთვე საარბიტრაჟო მოსაკრებლის თანხა 3 052,97 აშშ დოლარი, სულ 48 257 აშშ დოლარი და 47 ცენტი; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-იმ“ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება თანხის დაკისრების თაობაზე.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა,

რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „N“, 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მისი აღსრულება ვერ განხორციელდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის განჩინებით საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-ის“ შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „N“-ს გაეგზავნა 2015 წლის 27 მაისს და ჩაბარდა 2015 წლის 28 მაისს, თუმცა მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-ის“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „N“-ს („N“ LTD) (საქართველო) საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-ის“ (უკრაინა) სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების თანხა 45 204,50 აშშ დოლარი 2013 წლის 25 იანვრის №.../... ხელშეკრულების მიხედვით, აგრეთვე საარბიტრაჟო მოსაკრებლის თანხა 3 052,97 აშშ დოლარი, სულ 48 257 აშშ დოლარი და 47 ცენტი; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გა-

რეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, მოცემული თვალსაზრისით შუამდგომლობა ასევე აკმაყოფილებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო სა-

კონდიტრო ფირმა „ლ-ის“ შუამდგომლობაზე გადახდილი აქვს 3 307.20 ლარი. აქედან გამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „N“-ს უნდა დაეკისროს საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-ის“ სასარგებლოდ მის მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 3 307.20 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „არბიტრაჟის შეხახებ“ საქართველოს კანონის 44-ე, 45-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „N“-ს („N“ LTD) (საქართველო) საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-ის“ (უკრაინა) სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების თანხა 45 204,50 აშშ დოლარი 2013 წლის 25 იანვრის №./..... ხელშეკრულების მიხედვით, აგრეთვე საარბიტრაჟო მოსაკრებლის თანხა 3 052,97 აშშ დოლარი, სულ 48 257 აშშ დოლარი და 47 ცენტი; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „N“-ს საჯარო სააქციო საზოგადოება სანარმოო-სავაჭრო საკონდიტრო ფირმა „ლ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 3 307.20 ლარის გადახდა;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## თანხის დაკისრება

### განჩინება

№ა-2595-შ-55-2015

9 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუერი,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუსკის სპეციალიზირებული რაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს სამშენებლო-კომერციულ კორპორაცია „ხ-ს“ ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების – 2 566 666 ტენგესა და სახელმწიფო ბაჟის ხარჯების – 25 667 ტენგეს გადახდა.

ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუსკის სპეციალიზირებული რაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. ამასთან, ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ამ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, შპს სამშენებლო-კომერციული კორპორაცია „ხ-ს“ უძრავი და მოძრავი ქონების დაყადაღება 2 592 333 (2 566 666+25667) ტენგეს ფარგლებში.

საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 8 ივლისის განჩინებით ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინების ასლი გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარე შპს სამშენებლო-კომერციულ კორპორაცია „ხ-ს“ და 2015 წლის 29 ივლისს ჩაბარდა კორპორაციის გენერალურ დირექტორ ა. ა-ს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ინდივიდუალ-

ური მენარმე ა. ნ-ას შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუსკის სპეციალიზირებული რაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში და მოწინააღმდეგე მხარეს განემარტა, რომ მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება, ასევე მას შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. აღნიშნული შუამდგომლობა, საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბრის განჩინებისა და შუამდგომლობაზე დართული მასალების ასლები შპს სამშენებლო-კომერციულ კორპორაცია „ხ-ს“ სამჯერ გაეგზავნა საქმეში მითითებულ მისამართზე და სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე, მაგრამ სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტებიდან ირკვევა, რომ არცერთ მისამართზე შპს სამშენებლო-კომერციულ კორპორაცია „ხ-ი“ არ მდებარეობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება განთავსდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე საჯაროდ გაცნობის მიზნით.

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოწინააღმდეგე მხარე შპს სამშენებლო-კომერციულ კორპორაცია „ხ-ს“ თავისი მოსაზრება არ წარმოუდგენია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს უზენაესი სასამართლოსათვის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ას შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუსკის სპეციალიზირებული რაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუსკის სპეციალიზირებული რაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს სამშენებლო-კომერციულ კორპორაცია „ხ-ს“ ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების – 2 566 666 ტენგესა



და სახელმწიფო ბაჟის ხარჯების – 25 667 ტენგეს გადახდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთმითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 13 აპრილს და ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოწინააღმდეგე მხარე შპს სამშენებლო-კომერციულ კორპორაცია „ხ-ს“ თავისი მოსაზრება არ წარმოუდგენია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს უზენაესი სასამართლოსათვის.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუსკის სპეციალიზირებული რაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ას შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუსკის სპეციალიზირებული რაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუსკის სპეციალიზირებული რაიონთაშორისო ეკონომიკური სასამარ-

თლოს 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც ინ-დივიდუალური მენარმე ა. ნ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს სამშენებლო-კომერციულ კორპორაცია „ბ-ს“ ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების – 2 566 666 ტენგესა და სახელმწიფო ბაჟის ხარჯების – 25 667 ტენგეს გადახდა;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **თანხის დაკისრება**

### **განჩინება**

№ა-3509-შ-75-2015

16 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავეცი**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით კერძო სააქციო საზოგადოება საკონდიტრო ქარხანა „ლ-ას“ სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე შპს „მ-ის“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 26639 აშშ დოლარისა და სასამართლო ხარჯების 10013 გრივნის გადახდა.

კერძო სააქციო საზოგადოება საკონდიტრო ქარხანა „ლ-ამ“ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთმითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 9 მაისს და უკრაინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2015 წლის 12 ნოემბრის განჩინებით კერძო სააქციო საზოგადოება საკონდიტრო ქარხანა „ლ-ას“ შუამდგომლობა უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. აღნიშნული განჩინების ასლი, კერძო სააქციო საზოგადოება საკონდიტრო ქარხანა „ლ-ას“ შუამდგომლობა და თანდართული მასალები კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა მონინალმდეგე მხარეს. შპს „მ. და კ-ს“ გზავნილი ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით და მას არ წარმოუდგენია არც მოსაზრება და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს საკასაციო სასამართლოსათვის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ კერძო სააქციო საზოგადოება საკონდიტრო ქარხანა „ლ-ას“ შუამდგომლობა უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით კერძო სააქციო საზოგადოება საკონდიტრო ქარხანა „ლ-ას“ სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე შპს „მ-ის“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 26639 აშშ დოლარისა და სასამართლო ხარჯების 10013 გრივნის გადახდა.

კერძო სააქციო საზოგადოება საკონდიტრო ქარხანა „ლ-ამ“ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთმითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 9 მაისს და უკრაინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა

იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. კერძო სააქციო საზოგადოება საკონდიტრო ქარხანა „ლ-ას“ შუამდგომლობა უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის კიევის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც კერძო სააქციო საზოგადოება საკონდიტრო ქარხანა „ლ-ას“ სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე შპს „მ-ის“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 26639 აშშ დოლარისა და სასამართლო ხარჯების 10013 გრივნის გადახდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# თანხის დაკისრება

## განჩინება

№ა-3231-შ-66-2015

23 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავეცი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

უნგრეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ა-ს“ შპს „C-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 28500 აშშ დოლარის, 2013 წლის 24 აპრილიდან დარიცხული გადავადების პროცენტების – 4,75%-ის, საარბიტრაჟო მოსაკრებელის – 779199 უნგრული ფორინტისა და საადვოკატო ჰონორარის – 200000 უნგრული ფორინტის გადახდა.

შპს „C-ის“ წარმომადგენელმა ნ. ო-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უნგრეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება და ასევე მოითხოვა შპს „C-ის“ მიერ საქართველოში განეული ადვოკატის ხარჯის – 3617,50 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და თარჯიმნის მიერ განეული მომსახურების – 520 ლარის შპს „ა-ისათვის“ დაკისრება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთმიითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 30 მარტს და უნგრეთის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ნოემბრის განჩინებით შპს „C-ის“ წარმომადგენელ ნ. ო-ის შუამდგომლობა უნგრეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

2015 წლის 8 დეკემბერს შპს „C-ის“ წარმომადგენელმა ნ. ო-მა განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენისათვის თარგმანზე განეული დამატებითი ხარჯის – 120 ლარის შპს „ა-ისათვის“ დაკისრება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ შპს „C-ის“ წარმომადგენელ ნ. ო-ის შუამდგომლობა უნგრეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უნგრეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ა-ს“ შპს „C-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 28500 აშშ დოლარის, 2013 წლის 24 აპრილიდან დარიცხული გადავადების პროცენტების – 4,75%-ის, საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 779199 უნგრული ფორინტისა და საადვოკატო ჰონორარის – 200000 უნგრული ფორინტის გადახდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთმითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 30 მარტს და უნგრეთის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

შპს „C-ის“ წარმომადგენელმა ნ. ო-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უნგრეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება და ასევე მოითხოვა შპს „C-ის“ მიერ საქართველოში განეული ადვოკატის ხარჯის – 3617,50 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, თარჯიმნის მიერ განეული მომსახურების – 520 ლარისა და საკასაციო სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენისათვის თარგმანზე განეული დამატებითი ხარჯის – 120 ლარის შპს „ა-ისათვის“ დაკისრება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონ-

ნიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. რაც შეეხება აღსრულებას, ამავე კანონის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, უნგრეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „C-ის“ შუამდგომლობა უნგრეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა, მონინალმდევე მხარეს, შპს „ა-ს“ შპს „C-ის“ სასარგებლოდ, მითითებული მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკისროს შუამდგომლობის ავტორის მიერ განეული ადვოკატის ხარჯის – 3617,50 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, თარჯიმნის მიერ განეული მომსახურების – 520 ლარისა და საკასაციო სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენისათვის თარგმანზე განეული დამატებითი ხარჯის – 120 ლარის გადახდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „C-ის“ წარმომადგენელ ნ. ო-ის შუამდგომლობა უნ-

გრეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულების შეესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უნგრეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ა-ს“ შპს „C-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 28500 აშშ დოლარის, 2013 წლის 24 აპრილიდან დარიცხული გადავადების პროცენტების – 4,75%-ის, საარბიტრაჟო მოსაკრებელის – 779199 უნგრული ფორინტისა და საადვოკატო ჰონორარის – 200000 უნგრული ფორინტის გადახდა;

3. შპს „C-ის“ წარმომადგენელ ნ. ო-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს და შპს „ა-ს“ შპს „C-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს შუამდგომლობის ავტორის მიერ განეული ადვოკატის ხარჯის – 3617,50 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, თარჯიმნის მიერ განეული მომსახურების – 520 ლარისა და საკასაციო სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენისათვის თარგმანზე განეული დამატებითი ხარჯის – 120 ლარის გადახდა.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **თანხის დაკისრება**

### **ბანკინება**

№ა-994-შ-24-2016

20 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
მოსამართლე ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბელგიის ქ.ანტვერპენის სავაჭრო სასამართლოს 2015 წლის 18 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს V-ს სარჩელი ქ.ბათუმის მერიისა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირის „სატრანსპორტო ინფრას-



ტრუქტურის მართვის სააგენტოს“ მიმართ დაკმაყოფილდა შემდეგი სახით: მოპასუხეებს ერთობლივად (სოლიდარულად) და ცა.ცალკე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ შემდეგი თანხის ანაზღაურება: 784 978,04 ევრო ძირი თანხის სახით და 2 500,00 ევრო პირგასამტეხლოს სახით. გადაწყვეტილების თანახმად, აღნიშნულ თანხას, 2002 წლის 2 აგვისტოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, დაემატა საყოველთაოდ მიღებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით ძირ თანხაზე დარიცხული საურავი, რომლის დაანგარიშებაც მოხდება წარმოდგენილ ანგარიშ-ფაქტურებში (ინვოისებში) მითითებული გადახდის ვადების გასვლის დღიდან სასამართლო უწყების გაგზავნის დღემდე, აღნიშნული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების გათვალისწინებით. ხოლო სასამართლო უწყების გაგზავნის მომენტიდან ამას დაემატება კანონისმიერი საურავი, ერთი მხრივ, საყოველთაოდ მიღებული განაკვეთით ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტი, იმის გათვალისწინებით, რომ ეს განაკვეთი უნდა შეესაბამებოდეს 2002 წლის 2 აგვისტოს კანონის შესაბამისად შემცირებულ განაკვეთს და, მეორე მხრივ, ზიანზე დარიცხული კანონისმიერი საურავი. ორივე შემთხვევაში, დარიცხვა გაგრძელდება სანამ სრულად არ მოხდება დაკისრებული გადასახდელების გადახდა. მოპასუხე მხარეებს ერთობლივად (სოლიდარულად) და ცალკელად დაეკისრათ სასამართლო ხარჯის ანაზღაურება, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის შედგება: უწყების გაგზავნის ხარჯის – 497,52 ევროსა და სამართალწარმოების მინიმალური ბაჟის – 1 100,00 ევროსაგან.

საკასაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა კომპანია V-მ და მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტაციით, ასევე თავად გადაწყვეტილებით დასტურდება შემდეგი:

ა) მოპასუხეები უწყების ჩაბარების გზით იყვნენ ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, მათ პირველი უწყება გაეგზავნათ და ჩაბარდათ 2014 წლის 31 ოქტომბერს (იხ. გადაწყვეტილება, ასევე საფოსტო შეტყობინებები), თუმცა სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულან;

ბ) გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, შესულია კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას. ბელგიის ტერიტორიაზე სააღსრულებო წარმოება არ მიმდინარეობს (იხ. ანტვერპენის სავაჭრო სასამართლოს მდივნისა და სასამართლო აღმასრულებელთა ბიუროს ცნობები);

გ) მოპასუხეებს ჩაბარდათ სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება (იხ. სასამართლო აღმასრულებელთა ბიუროს უწყება);

დ) დასტურება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია თანახმად „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განჩინებით კომპანია „V-ის“ შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა დაზუსტებული მოთხოვნა – ნათლად განესაზღვრა თუ რა თანხის დაკისრების ნაწილში ითხოვს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებას და წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რაც მოთხოვნის საფუძვლიანობას დაადასტურებდა; სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით განესაზღვრა შუამდგომლობის ავტორის სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა); წარმოედგინა უშუალოდ მხარის მიერ შედგენილი შუამდგომლობა. წარმომადგენლის მიერ შუამდგომლობის შემოტანის შემთხვევაში, უფლებამოსილების განმსაზღვრელ დოკუმენტისათვის უნდა დაერთო წარმომადგენლის ადვოკატის მონაწილის ასლი. ამასთან, განემარტა შუამდგომლობის ავტორს, რომ თუ მითითებულ ვადაში დადგენილი ხარვეზი სრულყოფილად არ გამოსწორდებოდა, მისი შუამდგომლობა არ მიიღებოდა და განუხილველად დარჩებოდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე ცნობის საპროცესო-სამართლებრივი საფუძველი ეროვნული საპროცესო კანონმდებლობაა, შესაბამისად, ამ კატეგორიის საქმეებზე, სპეციალური კანონით დადგენილ შეზღუდვათა გათვალისწინებით, ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია, განახორციელოს მისთვის დაკისრებული მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარემ დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი არ უზასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დაადგენს ხარვეზს და მხარეს განუსაზღვრავს საპროცესო ვადას შესაბამისი საპროცესო მოქმედების განხორციელების მიზნით.

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განჩინებით კომპანია „V-ის“ შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა დაზუსტებული მოთხოვნა – ნათლად განესაზღვრა თუ რა თანხის დაკისრების ნაწილში ითხოვს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებას და წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რაც მოთხოვნის საფუძველიანობას დაადასტურებდა; სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით განესაზღვრა შუამდგომლობის ავტორის სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა); წარმოედგინა უშუალოდ მხარის მიერ შედგენილი შუამდგომლობა.

წარმომადგენლის მიერ შუამდგომლობის შემოტანის შემთხვევაში, უფლებამოსილების განმსაზღვრელ დოკუმენტისათვის უნდა დაერთო წარმომადგენლის ადვოკატის მონაწილობის ასლი. ამასთან, განემარტა შუამდგომლობის ავტორს, რომ თუ მითითებულ ვადაში დადგენილი ხარვეზი სრულყოფილად არ გამოხატვნიორდებოდა, მისი შუამდგომლობა არ მიიღებოდა და განუხილველად დარჩებოდა.

საპროცესო ვადის დადგენის შესახებ განჩინება შუამდგომლობის ავტორის წარმომადგენელმა ვ. ბ-მა ჩაიბარა 2016 წლის 6 აპრილს (იხ.ხელწერილი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლითაც დადგენილია საპროცესო ვადის დენის დასაწყისი და მიიჩნევს, რომ ხარვეზის განჩინებით განსაზღვრული 10-დღიანი ვადის დენა დაიწყო მოვლენის დადგომის მომდევნო დღეს – 2016 წლის 7 აპრილს და ამოიწურა 2016 წლის 16 აპრილს, მაგრამ ვინაიდან 16 აპრილი დაემთხვა დასვენების დღეს, საპროცესო ვადა დასრულებულად უნდა ჩაითვალოს 2016 წლის 18 აპრილს. ამ დროის განმავლობაში მხარეს ხარვეზი არ გამოუხსნორებია. ხოლო, 2016 წლის 19 აპრილს, სასამართლოს განცხადებით მოართა შუამდგომლობის ავტორის წარმომადგენელმა ვ. ბ-მა, რომელმაც დაადასტურა რომ, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუხსნორებია. ამასთან, მოითხოვა საქმეში წარმოდგენილი დედანი დოკუმენტების დაბრუნება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილისა და ამავე კოდექსის 139-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს რომ შუამდგომლობის ავტორს უნდა დაუბრუნდეს დედანი დოკუმენტები, ხოლო საქმეში უნდა დარჩეს მოსამართლის მიერ შემოწმებული ასლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 396-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. კომპანია V-ის შუამდგომლობა ბელგიის ქ.ანტვერპენის სავაჭრო სასამართლოს 2015 წლის 18 მარტის დაუსწრებელი გა-

დანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დარჩეს განუხილველად.

2. კომპანია V-ს დაუბრუნდეს საქმეში არსებული დედანი დოკუმენტები.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **თანხის დაკისრება**

### **განჩინება**

№ა-4087-შ-85-2015

23 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

უკრაინის ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხე შპს ა-ს“ (6010, საქართველო, ქ. ბათუმი, თ. №., ბ., ს/კ №...) შპს „ბ-ის“ (02091, ქ. კიევი, ხ-ის №., ს/კ №...) სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების – 30600 აშშ დოლარის ეკვივალენტი 760119 გრივნისა და 15 კაპიკის, 13 აშშ დოლარისა 20 ცენტის ეკვივალენტი 327 გრივნისა და 89 კაპიკის და სასამართლო ხარჯების – 15208 გრივნისა და 94 კაპიკის გადახდა. დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

შპს „ბ-ის“ გენერალურმა დირექტორმა ე. ტ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკრაინის ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთმითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 13 მაისს და უკრაინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 2 მარტის განჩინებით შპს „ბ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად. აღნიშნული განჩინების ასლი, შპს „ბ-ის“ შუამდგომლობა და თანდართული მასალები გაეგზავნა მონინაალმდეგე მხარეს.

შპს „ა-ის“ დირექტორმა ჯ. დ-ემ წარმოადგინა მოსაზრებები შპს „ბ-ის“ შუამდგომლობასთან დაკავშირებით და მოითხოვა შუამდგომლობაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 17 მარტის განჩინებით შპს „ბ-ის“ შუამდგომლობის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

2016 წლის 19 აპრილს საკასაციო სასამართლოს სხდომაზე შპს „ა-მა“ სადავოდ გახადა ის ფაქტი, რომ კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა შპს „ბ-ის“ სარჩელი და აგრეთვე აღნიშნა, რომ არ იყო ინფორმირებული უკრაინის ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის სხდომის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბ-ს“ დაევალა წარმოედგინა იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ შპს „ა-ს“ კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა შპს „ბ-ის“ სარჩელი და ინფორმირებული იყო სასამართლოს სხდომის თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ შპს „ბ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილვენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლი-

სებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებისათვის დადგენილი საქმის განხილვის წესებით, თუ აღნიშნული წესები საკასაციო პალატისათვის განსაზღვრულ სპეციალურ ნორმებს არ ეწინააღმდეგება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). მთავარი სხდომის დანიშვნამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

დასახელებული ნორმის მიხედვით, სარჩელი შეიძლება განუხილველად დარჩეს იმის შემდეგაც, რაც მიიღება წარმოებაში. აღნიშნული დასაშვებია, თუ სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი ცნობილი გახდება სარჩელის ან სხვა სახის საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ. კანონის აღნიშნული დანაწესი ვრცელდება საკასაციო საჩივრის მიმართაც.

განსახილველ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორს დაევალა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა. შუამდგომლობის ავტორმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც გახდებოდა შუამდგომლობის წარმოებაში მიღების წინაპირობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. კანონის დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარე სწორედ კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაშია ვალდებული, განახორციელოს მისთვის დაკისრებული საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ მან დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შუამდგომლობის ავ-

ტორსმასასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დაკისრებული საპროცესო მოქმედება ვერ განახორციელა, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს „ბ-ის“ შუამდგომლობა უნდა დარჩეს განუხილველად, რაც არ ართმევს მხარეს უფლებას ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს იგივე მოთხოვნით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით, 372-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ბ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **თანხის დაკისრება**

### **ბანჩინება**

№ა-4982-შ-99-2015

23 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. შპს „მ-ოსა“ (შემდეგში შუამდგომლობის ავტორი ან მყიდველი) და შპს „ს-ოს“ (შემდეგში მონინააღმდეგე მხარე ან გამყიდველი) გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც



გამყიდველმა იკისრა ვალდებულება, მყიდველისათვის გადაეცა საქონელი (ექსკლუზიური შეთანხმების პირობით), ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, მიეღო იგი და გადაეხადა საფასური კონტრაქტით დადგენილი პირობებისა და წესების მიხედვით.

2. გამყიდველმა დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა ნებისმიერი საქონელი მიეწოდებინა მხოლოდ მყიდველისათვის (ექსკლუზიური შეთანხმება), რაც საფუძვლად დაედო მყიდველის მიმართვას ფედერალური სამედიცინორო სამართლოსთვის გამყიდველის წინააღმდეგ. მიუხედავად კანონით გათვალისწინებული სათანადო წესით შეტყობინებისა, მოპასუხე არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, და არც წარმომადგენელი გაგზავნა. შესაბამისად, მოსარჩელის დაზუსტებული სასარჩელო განცხადების საფუძველზე ფედერალურმა სამედიცინორო სასამართლომ დაადგინა, რომ გამყიდველმა მყიდველის მიმართ დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულება საქონლის ექსკლუზიური მიწოდების თაობაზე, და აღიარა მოსარჩელის მიმართ მოპასუხის ვალდებულების, 1 500 000 ევროს ოდენობით ჯარიმის დაკისრების მართლობიერება, რაც შეადგენს 1 725 300 აშშ დოლარსა და 15 ცენტს დავის განხილვის თარიღისათვის.

3. რუსეთის ფედერაციის, ფედერალური სამედიცინორო სამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით, (საქმე №ΦTC-065/2015), გამყიდველს დაეკისრა წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტში მითითებული დავალიანების – 1 725 300 (ერთი მილიონ შვიდასოცდახუთი ათას სამასი) აშშ დოლარისა და 15 ცენტის ოდენობით გადახდა, რაც შეადგენს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ევროს, მყიდველის სასარგებლოდ. ამასთანავე, დაეკისრა სამედიცინორო სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურება 8 542 560 (რვა მილიონ ხუთასორმოცდაორი ათას ხუთასსამოცი) რუბლის ოდენობით.

4. მყიდველის წარმომადგენელმა 2015 წლის 30 დეკემბერს მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73<sup>1</sup>-ე მუხლის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>22</sup>-ე მუხლის, და „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგინა მყიდველის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ფედერალური სამედიცინორო სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს №ΦTC-065/2015 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე.

5. შუამდგომლობაზე დართული ცნობებით დასტურდება,

რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2015 წლის 27 აგვისტოს და იგი არ არის აღსრულებული რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 თებერვლის განჩინებით მყიდველის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე განჩინების საფუძველზე, შუამდგომლობა თანდართული მასალებით 24 თებერვალს, ხოლო 7 მარტს – განმეორებით, გაეგზავნა მონინალმდეგე მხარეს საკუთარი მოსაზრების გამოთქმისა და, ზეპირი განხილვით, საქმის მოსმენის მოთხოვნის შესაძლებლობის შეტყობინების მიზნით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 70-78-ე მუხლები, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლი). მას ორივე შემთხვევაში არ ჩაჰბარდა სასამართლოს გზავნილი იმ მიზეზით, რომ ადრესატის მისამართი არასწორი იყო, და ტელეფონით დაკავშირება არ ხერხდებოდა.

7. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაშია მითითებული, გამყიდველი სათანადო წესით იყო ინფორმირებული საქმის განხილვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, თუმცა, ის პირადად არ გამოცხადებულა და არც წარმომადგენელი გაუგზავნია, ამდენად, გადაწყვეტილება მისი მონაწილეობის გარეშეა მიღებული.

8. საქმის მასალებში არ მოიპოვება მონინალმდეგე მხარის რაიმე ალტერნატიული მისამართი, რომელზეც საკასაციო სასამართლო უზრუნველყოფდა მისთვის შუამდგომლობისა და მასალების გაგზავნას. საკასაციო სასამართლომ 2016 წლის 4 აპრილის განჩინებით, მონინალმდეგე მხარისათვის გაავრცელა საჯარო შეტყობინება, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი შუამდგომლობის თაობაზე; მონინალმდეგე მხარეს, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განესაზღვრა ვადა, საკასაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარებისა და მოსაზრებების გამოსათქმელად.

9. მე-8 პუნქტში მითითებული განჩინება 6 აპრილს განთავსდა საკასაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე, მონინალმდეგე მხარის მოსაზრება სასამართლოსათვის უცნობია, თუმცა, საჯარო შეტყობინების გავრცელებიდან, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, მონინალმდეგე მხარისათვის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება (სსსკ-ის 78-ე მუხლი).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ მყიდველის შუამდგომლობა, რუსეთის ფედერაციის ფედერალური სამედიატორო სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილების №ΦTC-065/2015 საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

10. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ მხარეები კანონით დადგენილი წესით იყვნენ ინფორმირებული ფედერალურ სამედიატორო სასამართლოში საქმის განხილვის შესახებ (იხ. წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტი);

11. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას ითხოვს შუამდგომლობის ავტორი, შესულია კანონიერ ძალაში და არ არის აღსრულებული რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი);

12. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაძლებლობა გამოიყენა მონინალმდევე მხარის ინფორმირებისათვის მის მიმართ წარმოდგენილი შუამდგომლობის თაობაზე (იხ. ამ განჩინების მე-6, მე-8, მე-9 პუნქტები);

13. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

14. მოხმობილი ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

15. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის საფუძველზე, წარმოდგენილ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღება საქართველოს უზე-

ნაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, ამავე კანონის 71-ე მუხლის თანახმად, დაცულია 68-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები.

16. შუამდგომლობის ავტორს სახელმწიფო ბაჟის სახით წინასწარ გადახდილი აქვს 150 ლარი, ვინაიდან შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობაზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, 150 ლარის ოდენობით, მონინალმდეგე მხარეს უნდა დაეკისროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 69-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 53-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „მ-ოს“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და აღსასრულებლად მიექცეს რუსეთის ფედერაციის ფედერალური სამედიატორო სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №ΦTC-065/2015, რომლითაც შპს „ს-ოს“ შპს „მ-ოს“ სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი თანხის 1 725 300 აშშ დოლარისა და 15 ცენტის გადახდა; ამასთანავე, დაეკისრა სამედიატორო სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურება 8 542 560 (რვა მილიონ ხუთასორმოდრეი ათას ხუთასსამოცი) რუბლის ოდენობით;
3. შპს „ს-ოს“ შპს „მ-ოს“ სასარგებლოდ დაეკისროს საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯის (სახელმწიფო ბაჟის) 150 ლარის გადახდა;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასსი

### განჩინება

№ა-3493-შ-74-2015

4 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,

ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ჩერტანოვის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ე-სა“ და ა. ო-ის ძე გ-ეს შპს „ს. ს. კ. ა-ს“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ფულადი თანხის – 7 091 048 რუბლისა და 22 კაპიკის გადახდა, სესხის ხელშეკრულების მიხედვით.

2. რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ჩერტანოვის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 თებერვლის განჩინებით დადგინდა, რომ სამოქალაქო საქმეზე №....., შპს „ს-ს. კ. ა-ს“ სარჩელისა გამო შპს „ე-ისა“ და ა. ო. გ-ის მიმართ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების დაკისრების თაობაზე, განხორციელდეს კრედიტორის – შპს „ს-ს. კ. ა-ს“ შეცვლა უფლებამონაცვლით – ზ. გ. ასული ხ-ათი (...), ქალაქი მოსკოვი, პ-ას ქუჩა, სახლი .., ბინა ..).

3. ზ. ხ-ამ, წარმომადგენელ დ. ბ-ის მეშვეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ჩერტანოვის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხე მხარისათვის მის სასარგებლოდ 7 078 885 რუბლისა და 30 კაპიკის დაკისრების ნაწილში და ამავე სასამართლოს 2015 წლის 16 თებერვლის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა, რაც იმით დაასაბუთა, რომ ზემომითითებული გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ნაწილობრივ უკვე აღსრულდა და დავალიანების დანარჩენი თანხა 2015 წლის 26 მაისის მდგომარეობით 7 078 885 რუბლსა და 30 კაპიკს შეადგენს.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით ზ. ხ-ას შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

5. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ზ. ხ-ას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

6. საქმეზე დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის ჩერტანოვის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ე-სა“ და ა. ო-ის ძე გ-ეს შპს „ს. ს. კ. ა-ს“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ფულადი თანხის – 7 091 048 რუბლისა და 22 კაპიკის გადახდა, სესხის ხელშეკრულების მიხედვით.

7. რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის ჩერტანოვის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 თებერვლის განჩინებით დადგინდა, რომ სამოქალაქო საქმეზე №....., შპს „ს. ს. კ. ა-ს“ სარჩელისა გამო შპს „ე-სა“ და ა. ო. გ-ის მიმართ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების დაკისრების თაობაზე, განხორციელდა კრედიტორის – შპს „ს. ს. კ. ა-ს“ შეცვლა უფლებამონაცვლით – ზ. გ. ასული ხ-ათი (...), ქალაქი მოსკოვი, პ-ს ქუჩა, სახლი .., ბინა ..).

8. ზ. ხ-ამ, წარმომადგენელ დ. ბ-ის მეშვეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის ჩერტანოვის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხე მხარისათვის მის სასარგებლოდ 7 078 885 რუბლისა და 30 კაპიკის დაკისრების ნაწილში და ამავე სასამართლოს 2015 წლის 16 თებერვლის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა, რაც იმით დაასაბუთა, რომ ზემომითითებული გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ნაწილობრივ აღსრულდა და დავალიანების თანხა 2015 წლის 26 მაისის მდგომარეობით 7 078 885 რუბლსა და 30 კაპიკს შეადგენს.

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2,

მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

10. ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

11. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის ჩერტანოვის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ე-სა“ და ა. ო-ის ძე გ-ეს შპს „ს. ს. კ. ა-ს“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ფულადი თანხის – 7 078 885 რუბლისა და 30 კაპიკის გადახდა, სესხის ხელშეკრულების მიხედვით, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის ჩერტანოვის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 თებერვლის განჩინება, რომლითაც დადგინდა, რომ სამოქალაქო საქმეზე №....., შპს „ს. ს. კ. ა-ს“ სარჩელისა გამო შპს „ე-ისა“ და ა. ო. გ-ის მიმართ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების დაკისრების თაობაზე, განხორციელდა კრედიტორის – შპს „ს. ს. კ. ა-ს“ შეცვლა უფლებამონაცვლით – ზ. გ-ს ასული ხ-ათი (...), ქალაქი მოსკოვი, პ-ს ქუჩა, სახლი ..., ბინა ...), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ზ. ხ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის ჩერტანოვის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ე-სა“ და ა. ო-ის ძე გ-ეს შპს „ს. ს. კ. ა-ს“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ფულადი თანხის – 7 078 885 რუბლისა და 30 კაპიკის გადახდა, სესხის

ხელშეკრულების მიხედვით, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის ჩერტანოვის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 თებერვლის განჩინება, რომლითაც დადგინდა, რომ სამოქალაქო საქმეზე №....., შპს „ს. ს. კ. ა-ს“ სარჩელისა გამო შპს „ე-ისა“ და ა.ო. გ-ის მიმართ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების დაკისრების თაობაზე, განხორციელდა კრედიტორის – შპს „ს. ს. კ. ა-ს“ შეცვლა უფლებამონაცვლით – ზ. გ-ის ასული ხ-ათი (...), ქალაქი მოსკოვი, პ-ას ქუჩა, სახლი .., ბინა ..).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნასყიდობა

### განჩინება

№ა-3457-შ-73-2015

15 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის**  
**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ე. გასიტაშვილი,**  
**პ. ქათამაძე**

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ყაზახეთის რესპუბლიკის კოსტანაისკის ოლქის სპეციალიზირული სარაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2014 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით შპს „პ+ს“ (შემდეგში: მოპასუხე) კომპანია ფ-ის (შემდეგში: მოსარჩელე) სასარგებლოდ 2013 წლის 11 იანვრის №1 ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულების 2013 წლის 20 მარტის №7 სპეციფიკაციის შესაბამისად დაეკისრა საქონლის მიწოდება, ასევე მოსარჩელის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს – 77815 ტენგესა და სახელმწიფო ბაჟის 3260 ტენგეს გადახდა. გადაწყვეტილების აღსასრულებლად გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2. მოსარჩელემ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მემწეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. მან მოითხოვა საქართველოს ტერიტორიაზე ყაზახეთის რესპუბლიკის კოსტანაისკის ოლქის სპეციალიზირებული სარაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2014



წლის 5 მაისის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

3. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინებით შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული და აღნიშნულის თაობაზე ეცნობა მოპასუხეს, რომელსაც გაეგზავნა შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მისი ადგილსამყოფელის მიხედვით; მასვე განემარტა, რომ უფლება ჰქონდა, წარმოედგინა მოსაზრება მოსარჩელის შუამდგომლობის თაობაზე განჩინების ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, აგრეთვე, ის, რომ შეეძლო, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო, თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი განხილვის გარეშე.

4. 2015 წლის 15 ოქტომბერს მოპასუხემ უზენაესი სასამართლოს წინაშე იშუამდგომლობა, საქმე განხილულიყო ზეპირი მოსმენით, ამასთანავე, არ დაკმაყოფილებულიყო შუამდგომლობა შემდეგი გარემოებების გამო:

4.1. ყაზახეთის რესპუბლიკის კოსტანაისკის ოლქის სპეციალიზებული სარაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2014 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, ვინაიდან საქართველოში არ არის აღიარებული ხელშეკრულების დამრღვევი მხარის იძულება, გარემოებების შეცვლის მიუხედავად, ზუსტად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები;

4.2. მოპასუხე ვერ აღასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, ვინაიდან არ აწარმოებს იმავე პროდუქციას, რაც მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინებით დადგინდა მოსარჩელის შუამდგომლობის განხილვა ზეპირი მოსმენით.

6. მოსარჩელეს ეცნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინების თაობაზე, ასევე, გაეგზავნა მოპასუხის 2015 წლის 15 ოქტომბრის შუამდგომლობა.

7. 2016 წლის 4 იანვარს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილ იქნა მოსარჩელის შუამდგომლობა, რომლითაც მან იშუამდგომლა, საქმე განხილულიყო მისი დასწრების გარეშე, ასევე, ის არ დაეთანხმა მოსარჩელის შუამდგომლობაში მოცემულ მოსაზრებებს და მიუთითა შემდეგზე:

7.1. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლი ადგენს იმ კრიტერიუმებს, როდესაც არ ხდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნო-

ბა. ასეთი საფუძველი კი, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს;

7.2. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად, მხარეები უფლებამოსილი არიან, აირჩიონ იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობა დაექვემდებარება. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად, ასეთ სამართლად განსაზღვრულია ყაზახეთის რესპუბლიკის სამართალი;

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 361-ე მუხლი ვალდებულებას განიხილავს კრედიტორის უფლებამოსილებად, მოსთხოვოს მოვალეს გარკვეული ქმედების განხორციელება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

8. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, მხარის მოსაზრების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკაცო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა შუამდგომლობის საფუძველიანობის თაობაზე, სახელდობრ:

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს და აღნიშნულ საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

10. მითითებული კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია გამონაკლისები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც არ ხდება უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა, კერძოდ: „გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ით-

ვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.“ მოცემულ შემთხვევაში არ ვლინდება არცერთი საგამონაკლისო შემთხვევა, რაც გამორიცხავდა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობას.

11. სასამართლო არ იზიარებს მოპასუხის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის კოსტანაისკის ოლქის სპეციალიზებული სარაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2014 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, ვინაიდან საქართველოში არ არის აღიარებული ხელშეკრულების დამრღვევი მხარის იძულება, გარემოებების შეცვლის მიუხედავად, ზუსტად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

12. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულება ეს არის კონკრეტული სამართალურთიერთობა, რომლის ძალითაც ერთი პირი, მოვალე, ვალდებულია, მეორე პირის, კრედიტორის, სასარგებლოდ შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება (გადასცეს ქონება, შეასრულოს სამუშაო, გადაიხადოს ვალი და ა.შ.), ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისაგან, ხოლო კრედიტორს უფლება აქვს, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება.

13. მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულების წარმოშობის საფუძველი იყო მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა (მინოდების ხელშეკრულება), რომელიც დადებული იყო სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში (კერძო ავტონომიის პრინციპი), თუმცა მისი შესრულების უზრუნველყოფა მხოლოდ მხარეთა ნებაზე არ იყო დამოკიდებული. ყველა თანამედროვე მართლწესრიგის მიდგომა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისადმი ერთნაირია, ხელშეკრულება უნდა შესრულდეს, მის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით ყველა პრეტენზია კი, უნდა გადაწყდეს სასამართლოს მეშვეობით. ამის საილუსტრაციოდ საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსზე, რომლის თანახმადაც, კრედიტორს სასამართლოს მეშვეობით შეუძლია მოვალეს მოსთხოვოს შესრულება.

14. სსკ აღიარებს კერძო სამართლის ისეთ უმთავრეს პრინ-

ციპს, როგორცაა ნაკისრი ვალდებულების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება [სსკ-ის 361.2 მუხლი]. ამასთან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: „ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ეს დანაწესი მოიცავს მთელ კერძო სამართალს, რომელსაც ავსებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და იმანენტურ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს ზოგადოდ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისცემას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.“ (იხ. საქმე №ას-570-541-2015, 11.11.2015 წელი).

15. ამ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება ის გამონაკლისები, როდესაც დაუშვებელია ვალდებულების შესრულება იძულების ძალით (მაგალითად: დასაქმებულის იძულება, შეასრულოს სა-

მუშაო, კომპოზიტორის იძულება, შექმნას მუსიკალური ნაწარ-  
მოები, მომღერლის იძულება, გამართოს კონცერტი და ა.შ.).

16. აქედან გამომდინარე, მონინალმდეგე მხარის მოსაზრე-  
ბა, რომ 2014 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება  
საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, სამარ-  
თლებრივად დაუსაბუთებელია.

17. რაც შეეხება მოპასუხის არგუმენტს, რომ იგი ვერ აღას-  
რულებს ყაზახეთის რესპუბლიკის კოსტანაისკის ოლქის სპე-  
ციალიზებული სარაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს  
2014 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებას, აღნიშნული არ შეიძლე-  
ბა იყოს მოცემული საქმის განხილვის საგანი. გადაწყვეტილე-  
ბის აღსრულების საკითხი უნდა გადაწყდეს აღსრულების ეტაპ-  
ზე „სააღრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანო-  
ნის შესაბამისად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო  
კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 68-ე,  
69-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირვე-  
ლი და მე-2 ნაწილებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „ფ-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და აღსას-  
რულებლად მიექცეს ყაზახეთის რესპუბლიკის კოსტანაისკის  
ოლქის სპეციალიზებული სარაიონთაშორისო ეკონომიკური სა-  
სამართლოს 2014 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც  
შპს „ჰ+-ს“ შპს „ფ-ის“ მიმართ დაეკისრა საქონლის მინოდება  
2013 წლის 11 იანვრის №1 ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრუ-  
ლების 2013 წლის 20 მარტის №7 სპეციფიკაციის შესაბამისად,  
ასევე, შპს „ჰ+-ს“ შპს „ფ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა პირგა-  
სამტებლოს – 77 815 ტენგესა და სახელმწიფო ბაჟის, 3 260 ტენ-  
გეს, გადახდა;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნასყიდობა

### განჩინება

№ა-1392-შ-32-2016

28 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით:

– შპს „გ-ას“ (6010, საქართველო, ქ.ბ-ი, პ.ჩ-ის ქ....) შპს „ი-ის“ (30000, უკრაინა, ხ-ის ოლქი, ქ.ს-ა, პ-ას ქ., სახლი 1/2) სასარგებლოდ დაეკისრა მიწოდებული საქონლის საფასურის – 100 278.89 აშშ დოლარის, აგრეთვე, საარბიტრაჟო სასამართლო ხარჯების – 6 208.37 აშშ დოლარის, მთლიანობაში 106 487.26 აშშ დოლარის გადახდა.

1.2 ამავედროულად, შუამდგომლობის ავტორმა ითხოვა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს შპს „ი-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს:

– შპს „ი-ის“ მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 151 ლარის ოდენობით და

– მითითებული შუამდგომლობის წარმოებაზე ადვოკატის დახმარების გამო განეული ხარჯი 330 აშშ დოლარის ოდენობით და

– უკრაინულიდან ქართულ ენაზე თარგმნისათვის გაღებული ხარჯი 81 ლარის ოდენობით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

2. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

3. დადგენილია, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით:

– შპს „გ-ას“ (6010, საქართველო, ქ.ბ-ი, პ.ჩ-ის ქ.80) შპს „ი-ის“

(30000, უკრაინა, ხ-ის ოლქი, ქ.ს-ა, პ-ას ქ., სახლი 1/2) სასარგებლოდ დაეკისრა მიწოდებული საქონლის საფასურის – 100 278.89 აშშ დოლარის, აგრეთვე, საარბიტრაჟო სასამართლო ხარჯების – 6 208.37 აშშ დოლარის, მთლიანობაში 106 487.26 აშშ დოლარის გადახდა.

4. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

5. ამდენად, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

6. მოპასუხე შპს „ვ-ას“ მოსაზრებაში მითითებულ გარემოებებთან მიმართებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას საქართველოს უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობს „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონის დებულებების შესაბამისად, რადროსაც ამონიშნავს დასახელებულ კანონთან და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან შუამდგომლობის ფორმალურ შესაბამისობას. აღნიშნულ პროცესში უზენაესი სასამართლო არ არკვევს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს.

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის მოსაზრებაში მოყვანილი გარემოებები ვერ გახდება მოცემული განჩინების მსჯელობის საგანი და ვერ განაპირობებს შპს „ი-ის“ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს

მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა.

9. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „ი-ს“ (გადამხდელია გ. თ-ე) შუამდგომლობაზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – 151 ლარი. აქედან გამომდინარე, შპს „ვ-ას“ უნდა დაეკისროს შპს „ი-ის“ მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 151 ლარის გადახდა.

10. რაც შეეხება შუამდგომლობის წარმოებაზე ადვოკატის დახმარების გამო განეული ხარჯის – 330 აშშ დოლარისა და უკრაინულიდან ქართულ ენაზე გაღებული ხარჯის – 81 ლარის მონინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების შუამდგომლობას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი ასევე უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგი გარემოებების გამო:

11. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის საპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.



12. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალის-წინებს ერთ-ერთი მხარისათვის მეორე მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარების გამო განეული ხარჯების ანაზღაურების დაკისრების შესაძლებლობას, თუკი დავა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დასრულდება. ამასთან, ასეთი ხარჯების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმად კანონმდებელი ადგენს „გონივრულ ოდენობას“, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დავის საგნის ღირებულების 4%-ს.

13. მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორმა მის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაღებული ხარჯის დასადასტურებლად წარმოადგინა იურიდიული მომსახურების განევის შესახებ მასა და წარმომადგენელს შორის 2016 წლის 26 თებერვალს დადებული ხელშეკრულება (კონტრაქტი) და ამ მიზნით თანხის ჩარიცხვის თაობაზე ამონაწერი, ხოლო უკრაინულიდან ქართულ ენაზე თარგმნისათვის გაღებული ხარჯის დასასაბუთებლად – სალაროს შემოსავლის ორდერი №10. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ვ-ას“ შპს „ი-ის“ სასარგებლოდ წარმომადგენლის დახმარების გამო განეული ხარჯის ასანაზღაურებლად უნდა დაეკისროს 330 აშშ დოლარის, უკრაინულიდან ქართულ ენაზე თარგმნისათვის გაღებული ხარჯის ასანაზღაურებლად კი, 81 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

14. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ი-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც:
  - შპს „ვ-ას“ (6010, საქართველო, ქ. ბ-ი, პ. ჩ-ის ქ.80) შპს „ი-ის“ (30000, უკრაინა, ხ-ის ოლქი, ქ. ს-ა, პ-ას ქ., სახლი 1/2) სასარგებლოდ დაეკისრა მიწოდებული საქონლის საფასურის – 100 278.89 აშშ დოლარის, აგრეთვე, საარბიტრაჟო სასამართლო ხარჯების – 6 208.37 აშშ დოლარის, მთლიანობაში 106 487.26 აშშ დოლარის გადახდა.

3. შპს „ვ-ას“ შპს „ი-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 151 ლარის, ადვოკატის დახმარების გამო განეული ხარჯის – 330 აშშ დოლარისა და უკრაინულიდან ქართულ ენაზე თარგმნისათვის გაღებული ხარჯის – 81 ლარის გადახდა.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. საოჯახო სამართალი

### ალიმენტი

### ბანჩინება

№ა-2137-შ-61-2014

12 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ. კიროვგრადის კიროვის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ს. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, დ. ბ-ს მის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანი შვილების ..... წელს დაბადებული ვ. დ-ის ძე ბ-ისა და ..... წელს დაბადებული ქ. დ-ის ასული ბ-ის შენახვისათვის თვეში 300 გრივნი თითოეულზე, მაგრამ არანაკლებ შესაბამისი ასაკის ბავშვის საარსებო მინიმუმის 30%-ისა ვ. ბ-ის სრულწლოვანების მიღწევამდე. ვ. ბ-ის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ალიმენტი ანაზღაურდება ..... წელს დაბადებული ქ. დ-ის ასული ბ-ის შენახვისათვის თვეში 300 გრივნი მაგრამ არანაკლებ შესაბამისი ასაკის ბავშვის საარსებო მინიმუმის 30%-ისა ქ. ბ-ის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე – 2017 წლის 21 თებერვლამდე. ალიმენტი დაკისრებულია 23.03.2006 წლიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ს. ბ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 11 მარტს, არ აღსრულებულა უკრაინის ტერიტორიაზე, ამასთან, სასამართლოს ცნობით, საქმის მასალებით არ დასტურდება მოპასუხისათვის საქმის განხილვის თაობაზე გაფრთხილების ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2014 წლის 1 ივლისის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

იმავე კანონის 57-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორითაც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული თავისი ან მოპასუხის მისამართი არასწორი აღმოჩნდა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, ს. ბ-ის შუამდგომლობის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება მოპასუხე დ. ბ-ს გაეგზავნა შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ მისამართზე – საქართველო, ქ. ზესტაფონი. გზავნილი სასამართლოს დაუბრუნდა აღნიშვნით, რომ მისამართი არასრულია.

პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი არასწორია, ს. ბ-ის შუამდგომლობა განუხილველად უნდა დარჩეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე, 58-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 71-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

ს. ბ-ის შუამდგომლობა უკრაინის ქ. კიროვგრადის კიროვის

რაიონის სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## **ალიმენტი**

### **განჩინება**

№ა-427-შ-12-2014

9 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ბ. ალავიძე,**  
**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება, სასამართლო ხარჯების ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ყელეზნოდოროჟინის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ო. პ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა, 1965 წლის 9 თებერვალს დაბადებულ გ. ს-ეს ო. პ-ოს სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიური შემოსავლის 25%, მაგრამ არანაკლებ საარსებო მინიმუმის 50%-ისა ერთ სულ მოსახლეზე ქალიშვილის, ... წლის .. -ს დაბადებული მ. გ.ს ასული ს-ის, შენახვისათვის 2013 წლის 7 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. მასვე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 832050 რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართეს ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ყელეზნოდოროჟინის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ტ. ა-ამ და ო. პ-ომ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლის საფუძველზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებით აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 29 ნოემ-

ბერს, სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ბელორუსიის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და გ. ს-ე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

ბების შესახებ“ კონვენციის 53-ე, 54-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ყელეზნოდოროჟ-ნის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ტ. ა-ასა და ო. პ-ოს შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;

2. ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ყელეზნოდოროჟ-ნის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

### **ალიმენტი**

#### **განჩინება**

№ა-1013-შ-23-2015

12 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბელორუსიის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით 1978 წელს საქართველოში დაბადებულ რ. ს-ს ტ. გ-ის სასარგებლოდ 2009 წლის 2 თებერვლიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე დაეკისრა შვილების: დ. ს-სა (დაბ: 15.06.2015 წ) და დ. ს-ს (დაბ: 06.06.2007 წ) რჩენისათვის ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად ყოველგვარი გამომუშავებისა და/ან შემოსავლის 33%-ის გადახდა, მაგრამ არანაკლებ ერთ სულ საშუალო მოსახლეზე საარსებო მინიმუმის – 75%-ისა.

ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხეს ბელორუსიის რესპუბლიკის სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბა-

ჟის – 1 941 100 ბელარუსული რუბლისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების – 17 950 ბელარუსული რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართეს ტ. გ-მა და ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სასამართლომ და მოითხოვეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, კერძოდ, ტ. გ-მა ითხოვა გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა ალიმენტის დაკისრების ნაწილში, ხოლო სასამართლომ – სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით ირკვევა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარეები მოითხოვენ, შესულია კანონიერ ძალაში 2015 წლის 6 იანვრიდან და ექვემდებარება აღსრულებას, იგი გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ასევე, დგინდება, რომ მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე ბელარუსის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და მას ჩაბარდა სასარჩევლო განცხადების ასლი, ასევე, წარმოდგენილია მოპასუხისათვის კორესპოდენციის ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 აპრილის განჩინებით ტ. გ-სა და ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები რ.ს-თვის ალიმენტის, ასევე, სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ტ. გ-სა და ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები რ.ს-თვის ალიმენტის, ასევე, სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორია-



ზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით 1978 წელს საქართველოში დაბადებულ რ. ს-ს ტ. გ-ის სასარგებლოდ 2009 წლის 2 თებერვლიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე დაეკისრა შვილების: დ. ს-სა (დაბ: 15.06.2015 წ) და დ. ს-ს (დაბ: 06.06.2007 წ) რჩენისათვის ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად ყოველგვარი გამომუშავებისა და/ან შემოსავლის 33%-ის გადახდა, მაგრამ არანაკლებ ერთ სულ სამუშალო მოსახლეზე საარსებო მინიმუმის – 75%-ისა.

ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხეს ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 1 941 100 ბელარუსული რუბლისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების – 17 950 ბელარუსული რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართეს ტ. გ-მა და ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სასამართლომ და მოითხოვეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, კერძოდ, ტ. გ-მა ითხოვა გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა ალიმენტის დაკისრების ნაწილში, ხოლო სასამართლომ – სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების ნაწილში.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით ირკვევა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარეები მოითხოვენ შესულია კანონიერ ძალაში 2015 წლის 6 იანვრიდან და ექვემდებარება აღსრულებას, იგი გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ასევე დგინდება, რომ მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე ბელარუსის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და მას ჩაბარდა სასარჩელო განცხადების ასლი, ასევე, წარმოდგენილია მოპასუხისათვის კორესპოდენციის ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარ-

და იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა.

საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება აღიმენტის, ასევე სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ტ. გ-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები ამავე სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის

გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც 1978 წელს საქართველოში დაბადებულ რ. ს-ს დაეკისრა: ა) ტ. გ-ის სასარგებლოდ 2009 წლის 2 თებერვლიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე შვილების: დ. ს-ისა (დაბ: 15.06.2015 წ) და დ. ს-ს (დაბ: 06.06.2007 წ) რჩენისათვის ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად ყოველგვარი გამომუშავებისა და/ან შემოსავლის 33%-ის გადახდა, მაგრამ არანაკლებ ერთ სულ საშუალო მოსახლეზე საარსებო მინიმუმის – 75%-ისა; ბ) ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფოს სასარგებლოდ – სახელმწიფო ბაჟის – 1 941 100 ბელარუსული რუბლისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების – 17 950 ბელარუსული რუბლის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ალიმენტი

### განჩინება

№ა-845-შ-19-2015

12 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ოდესის ოლქის ილიჩოვსკის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ე. ჯ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბ. ჯ-ას (დაბადებული 1983 წლის 26 ნოემბერს) ე. ჯ-ს სასარგებლოდ, 2011 წლის 17 მარტს დაბადებული ქალიშვილის – ი. ჯ-ს სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – მოპასუხის ყოველგვარი გამომუშავებიდან (შემოსავლის) 1/4-ის გადახდა, მაგრამ, არანაკლებ ბავშვის საცხოვრებელი მინიმუმის 30%-ისა მისი ასაკის შესაბამისად. ალიმენტის გადახდა განისაზღვრა სარჩელის აღძვრის დღიდან – 2014 წლის 17 დეკემბრიდან, შვილის სრულწლოვანებამდე – 2029 წლის 17 მარტამდე. ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხეს

დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 243,60 გრივის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ე. ჯ-მ და ითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით შუამდგომლობა, ასევე, წარმოადგინა უკრაინის ოდესის ოლქის ილიჩოვსკის საქალაქო სასამართლომ.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი სასამართლოს ბეჭდით დამოწმებული გადაწყვეტილებისა და მისი ქართულენოვანი თარგმანის შესწავლით დასტურდება, რომ მოპასუხე ბ. ჯ. დადგენილი წესით იყო გაფრთხილებული საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა ის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა. მოპასუხემ სასამართლოს მიმართა განცხადებით საქმის მისი დასწრების გარეშე განხილვის თაობაზე, ამასთანავე, მხარი დაუჭირა სასარჩელო მოთხოვნებს. ასევე, ირკვევა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 25 იანვარს.

შუამდგომლობას ერთვის წინამდებარე გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის დედანი და სასამართლოს მიერ გაცემული ცნობები, რომლებითაც დასტურდება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, როგორც ალიმენტის, ისე სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ამასთანავე, ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მაისის განჩინებით ე. ჯ-სა და უკრაინის ოდესის ოლქის ილიჩოვსკის საქალაქო სასამართლო შუამდგომლობები უკრაინის ოდესის ოლქის ილიჩოვსკის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ე. ჯ-სა და უკრაინის ოდესის ოლქის ილიჩოვსკის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობები უკრაინის ოდესის ოლქის ილიჩოვსკის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე

ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის ოდესის ოლქის ილიჩოვსკის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ე.გ. ჯ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, ბ.ჯ-ას (დაბადებული 1983 წლის 26 ნოემბერს) ე.გ.ჯ-ს სასარგებლოდ, 2011 წლის 17 მარტს დაბადებული ქალიშვილის – ი.ბ.ჯ-ს სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – მოპასუხის ყოველგვარი გამომუშავებიდან (შემოსავლის) 1/4-ის გადახდა, მაგრამ, არანაკლებ ბავშვის საცხოვრებელი მინიმუმის 30%-ისა მისი ასაკის შესაბამისად. ალიმენტის გადახდა განისაზღვრა სარჩელის აღძვრის დღიდან – 2014 წლის 17 დეკემბრიდან, შვილის სრულწლოვანებამდე – 2029 წლის 17 მარტამდე. ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 243,60 გრივნის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართეს ე. ჯ-მ და უკრაინის ოდესის ოლქის ილიჩოვსკის საქალაქო სასამართლომ და მოითხოვეს ზემოაღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, კერძოდ, ე. ჯ-მ – ალიმენტის, ხოლო ილიჩოვსკის საქალაქო სასამართლომ – სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი სასამართლოს ბეჭდით დამოწმებული გადაწყვეტილებისა და მისი ქართულენოვანი თარგმანის შესწავლით დასტურდება, რომ მოპასუხე ბ.ჯ. დადგენილი წესით იყო გაფრთხილებული საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა ის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა. მოპასუხემ სასამართლოს მიმართა განცხადებით საქმის მისი დასწრების გარეშე განხილვის თაობაზე, ამასთანავე, მხარი დაუჭირა სასარჩელო მოთხოვნებს. ასევე, ირკვევა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 25 იანვარს.

შუამდგომლობას ერთვის წინამდებარე გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის დედანი და სასამართლოს მიერ გაცემული ცნობები, რომლებითაც დასტურდება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, როგორც ალიმენტის, ისე, სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ამასთანავე, ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის

სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი, დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა.

საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, უკრაინის ოდესის ოლქის ილიჩოვსკის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ალიმენტის, ასევე, სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ჯ-სა და უკრაინის ოდესის ოლქის ილიჩოვსკის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობები ამავე სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკ-

მაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ოდესის ოლქის ილიჩოვსკის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბ. ჯ-ს: ა) ე.გ.ჯ-ს სასარგებლოდ, 2011 წლის 17 მარტს დაბადებული ქალიშვილის – ი.ბ.ჯ-ს სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – მოპასუხის ყოველგვარი გამომუშავებიდან (შემოსავლის) 1/4-ის გადახდა, მაგრამ, არანაკლებ ბავშვის საცხოვრებელი მინიმუმის 30%-ისა, მისი ასაკის შესაბამისად. ალიმენტის გადახდა განისაზღვრა სარჩელის აღძვრის დღიდან – 2014 წლის 17 დეკემბრიდან შვილის სრულწლოვანებამდე – 2029 წლის 17 მარტამდე; ბ) სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 243,60 გრივნის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ალიმენტი

### განჩინება

№ა-2021-შ-42-2015

7 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუერი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ო. ს-ას (ა-ას) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. 2008 წლის 8 აგვისტოს გ. ს-სა და ო. ს-ას შორის №... საექტო ჩანაწერში რეგისტრირებული №2293 ქორწინება შეწყდა. გ. ს-ს ო. ს-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების – 2011 წლის 18 მარტს დაბადებული ს. მ. გ. ო-ა და 2012 წლის 27 ივნისს დაბადებული ს. ა. გ. გ-ის სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – ყოველ ბავ-

შეზე 103 მანეთის, სულ 206 მანეთის სტაბილური თანხის გადახდა 2014 წლის 27 თებერვლიდან ბავშვების სრულწლოვანებაამდე. ო. ს-ას სასარჩელო მოთხოვნა მატერიალური დახმარების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ო. ა-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო ბეჭდით დამონმებული გადაწყვეტილებითა და ცნობებით ირკვევა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 22 სექტემბერს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა. გ. ს-ი დადგენილი წესით იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე და ჩაბარდა სარჩელი თანდართული მასალებით, თუმცა საქმის განხილვაზე მოპასუხე არ გამოცხადებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივლისის განჩინებით ო. ა-ას შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

გ. ს-მა განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მართალია, მან იცოდა რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლო იხილავდა ო. ა-ას სარჩელს, მაგრამ მას არ შეეძლო აზერბაიჯანში ჩასვლა. გ. ს-მა ასევე აღნიშნა, რომ არ ეთანხმება დაკირებული ალიმენტის ოდენობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ო. ა-ას შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:



დადგენილია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ო. ს-ას (ა-ას) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. 2008 წლის 8 აგვისტოს გ. ს-სა და ო. ს-ას შორის №... სააქტო ჩანაწერში რეგისტრირებული №... ქორწინება შეწყდა. გ. ს-ს ო. ს-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების – 2011 წლის 18 მარტს დაბადებული ს. მ. გ. ო-ა და 2012 წლის 27 ივნისს დაბადებული ს. ა. გ. გ-ის სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – ყოველ ბავშვზე 103 მანეთის, სულ 206 მანეთის სტაბილური თანხის გადახდა 2014 წლის 27 თებერვლიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე. ო. ს-ას სასარჩელო მოთხოვნა მატერიალური დახმარების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ო. ა-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო ბეჭდით დამოწმებული გადაწყვეტილებითა და ცნობებით ირკვევა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 22 სექტემბერს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა. გ. ს-ი დადგენილი წესით იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე და ჩაბარდა სარჩელი თანდართული მასალებით, თუმცა საქმის განხილვაზე მოპასუხე არ გამოცხადებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივლისის განჩინებით ო. ა-ას შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. აღნიშნული განჩინება, ო. ა-ას შუამდგომლობა და თანდართული მასალები კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს.

გ. ს-მა განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მართალია, მან იცოდა რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლო იხილავდა ო. ა-ას სარჩელს, მაგრამ მას არ შეეძლო აზერბაიჯანში ჩასვლა. გ. ს-მა ასევე აღნიშნა, რომ არ ეთანხმება დაკირებული ალიმენტის

ოდენობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოებები ვერ გახდება ო. ა-ას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგანაც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესების შესაბამისად, რა დროსაც ამონიშნავს შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დასახელებულ კანონთან და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან ფორმალურ შესაბამისობას, ისე, რომ არ იკვლევს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის საკითხს. ამდენად, გ. ს-ის მიერ მითითებული გარემოებები აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვის, ასევე მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. ო. ა-ას შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ს-ს ო. ს-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების – 2011 წლის 18 მარტს დაბადებული ს. მ. გ. ო-ა და 2012 წლის 27 ივნისს დაბადებული ს. ა. გ. გ-ის სარჩუნად დაეკისრა აღიშენების – ყოველ ბავშვზე 103 მანეთის, სულ 206 მანეთის სტაბილური თანხის გადახდა 2014 წლის 27 თებერვლიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ალიმენტი

## განჩინება

№ა-3523-შ-76-2015

6 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** სარჩოსა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ბელარუსის რესპუბლიკის ლენინსკის რაიონის ქ.ბრესტის სასამართლოს 2015 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ი. ბ-ას (დაბ: 24.07.1979წ.) ლ. ა-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – ს. ა-ას (დაბ: 26.08.2013წ.) რჩენისათვის, 2014 წლის 10 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, დაეკისრა აღიშენების – ყოველგვარი გამომუშავებისა და სხვა სახის შემოსავლის 25%-ის, მაგრამ არა ნაკლებ ერთ სულ საშუალო მოსახლეზე საარსებო

მინიმუმის 50%-ის გადახდა, ხოლო ლ. ა-ას სასარგებლოდ – 2014 წლის 10 თებერვლიდან ბავშვის მიერ სამი წლის ასაკის მიღწევამდე (26.08.2016 წლამდე) ან მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე ფულადი თანხის გადახდა 10 (ათი) საბაზო მოცულობის ოდენობით. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხე ი. ბ-ას ბელარუსის რესპუბლიკის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 2 159 750 რუბლის გადახდა.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ლ. ა-ამ და მოითხოვა ალიმენტის, ასევე, მის სასარგებლოდ დაკისრებული ფულადი თანხის ნაწილში ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

3. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ბელარუსის რესპუბლიკის ლენინსკის რაიონის ქ.ბრესტის სასამართლომაც და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ითხოვა გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

4. შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა შემდეგი:

ა) მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, მას, ასევე, ბელარუსის რესპუბლიკაში მოქმედი საპროცესო წესების თანახმად, ჩაბარდა სასარჩელო განცხადება, თუმცა სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა;

ბ) გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებასაც მხარეები მოითხოვენ, შესულია კანონიერ ძალაში და მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არც ერთ ნაწილში არ აღსრულებულა.

გ) ირკვევა, რომ მოპასუხეს საქართველოში გააჩნია საცხოვრებელი ადგილი.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით შუამდგომლობები მიღებულ იქნა განსახილველად, ამასთანავე, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მონინალმდევე მხარეს გაეგზავნა საქმის მასალები და განესაზღვრა ვადა აზრის გამოსათქმელად, ასევე განემარტა, რომ უფლება ჰქონდა, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა.

6. საკასაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი კორესპოდენცია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე

მუხლის შესაბამისად, 2015 წლის 23 ოქტომბერს ჩაბარდა ადრესატის ოჯახის ქმედუნარიან წევრს, თუმცა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შუამდგომლობის ავტორების მონი-ნაალმდევე მხარეს საკასაციო სასამართლოსათვის არ მოუმარ-თავს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ლ. ა-ასა და ბელარუსის რესპუბლიკის ლენინსკის რაიონის ქ.ბრესტის სასამართლოს შუამდგომლობები ამავე სასამართლოს 2015 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძ-ვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. ბელარუსის რესპუბლიკის, ლენინსკის რაიონის ქ.ბრესტის სასამართლოს 2015 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ი. ბ-ას (დაბ: 24.07.1979წ.) ლ. ა-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვი-ლის – ს. ა-ას (დაბ: 26.08.2013წ.) რჩენისათვის, 2014 წლის 10 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, დაეკისრა ალი-მენტის – ყოველგვარი გამომუშავებისა და სხვა სახის შემო-სავლის 25%-ის, მაგრამ არა ნაკლებ ერთ სულ საშუალო მოსახ-ლეზე საარსებო მინიმუმის 50%-ის გადახდა, ხოლო ლ. ა-ას სა-სარგებლოდ – 2014 წლის 10 თებერვლიდან ბავშვის მიერ სამი წლის ასაკის მიღწევამდე (26.08.2016 წლამდე) ან მდგომარეო-ბის სხვაგვარად შეცვლამდე ფულადი თანხის გადახდა 10 (ათი) საბაზო მოცულობის ოდენობით. ამავე გადაწყვეტილების თა-ნახმად, მოპასუხე ი. ბ-ას ბელარუსის რესპუბლიკის სასარგებ-ლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 2 159 750 რუბლის გადახ-და.

3. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ლ. ა-ამ და მოითხოვა ალიმენტის, ასევე, მის სასარ-გებლოდ დაკისრებული ფულადი თანხის ნაწილში ზემოხსენე-ბული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

4. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ბელარუსის რესპუბლიკის ლენინსკის რაიონის ქ.ბრეს-ტის სასამართლომაც და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ით-ხოვა გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

5. შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი მტკი-ცებულებებით ირკვევა შემდეგი:

ა) მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, მას ასევე, ბელარუსის რესპუბლიკაში მოქმედი საპროცესო წესების თანახმად, ჩაბარდა სასარჩელო განცხადება, თუმცა სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა;

ბ) გადანყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებასაც მხარეები მოითხოვენ, შესულია კანონიერ ძალაში და მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არც ერთ ნაწილში არ აღსრულებულა.

გ) ირკვევა, რომ მოპასუხეს საქართველოში გააჩნია საცხოვრებელი ადგილი.

6. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადანყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი, დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა.

7. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალოზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის, ლენინსკის რაიონის ქ.ბრესტის სასამართლოს 2015 წლის 8 ივნისის გადანყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ლ. ა-ასა და ბელარუსის რესპუბლიკის ლენინსკის რაიონის ქ.ბრესტის სასამართლოს შუამდგომლობები ამავე სასამართლოს 2015 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ლენინსკის რაიონის ქ.ბრესტის სასამართლოს 2015 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც:

ა) ი. ბ-ას (დაბ: 24.07.1979წ.) ლ. ა-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – ს. ა-ას (დაბ: 26.08.2013წ.) რჩენისათვის, 2014 წლის 10 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, დაეკისრა ალიმენტის – ყოველგვარი გამომუშავებისა და სხვა სახის შემოსავლის 25%-ის, მაგრამ არა ნაკლებ ერთ სულ საშუალო მოსახლეზე საარსებო მინიმუმის 50%-ის გადახდა, ხოლო ლ. ა-ას სასარგებლოდ – 2014 წლის 10 თებერვლიდან ბავშვის მიერ სამი წლის ასაკის მიღწევამდე (26.08.2016 წლამდე) ან მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე ფულადი თანხის გადახდა 10 (ათი) საბაზო მოცულობის ოდენობით;

ბ) ი. ბ-ას ბელარუსის რესპუბლიკის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 2 159 750 რუბლის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ალიმენტი

### განჩინება

№ა-3456-შ-72-2015

12 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე)

ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2015 წლის 22 სექტემბერს №7259 წერილით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციისა (შემდეგში – მინსკის კონვენცია) და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 70-ე მუხლების შესაბამისად, შემდგომი მსვლელობისათვის გადმოგზავნა აზერბაიჯანის მოქალაქის, ე. ე-ას, შუამდგომლობა საქართველოს მოქალაქე ა. მ-ისათვის ალიმენტის დაკისრების თაობაზე, ქ. ბაქოს ნარიმანოვის რაიონის სასამართლოს (შემდეგში – ნარიმანოვის რაიონის სასამართლო) 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების (საქმე №2(005) – 358/2015) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულებისათვის.

2. ნარიმანოვის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, დადგენილია, რომ 2010 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში დარეგისტრირდა ქორწინება (ჩანაწერის №...) შუამდგომლობის ავტორს – ე. ჯ. კ. ე-ასა და ა. ჯ. ო. მ-ს შორის.

3. განჩინების მე-2 პუნქტში მითითებულ პირებს ჰყავთ ორი შვილი – ... წლის აგვისტოს...დაბადებული ე. და ... წლის...ნოემბერს დაბადებული ფ.

4. ნარიმანოვის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მხარეთა შორის არაერთ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის გამო ურთიერთობა დაეძაბათ და განქორწინება გადაწყვიტეს.

5. ნარიმანოვის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო საპ-



როცესო კოდექსის ნორმის დანაწესზე, რომლის საფუძველზე დადგენილია სარჩელში მოპასუხე მხარის (განსახილველ შემთხვევაში – ა. მ-ის) შეტყობინების წესი სასამართლო დავის შესახებ და ის ღონისძიებები, რაც ამ მიზნით სასამართლომ უნდა განახორციელოს.

6. ნარიმანოვის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით შეწყდა ქორწინება ე. ე-ასა და ა. მ-ს შორის, არასრულწლოვანი ბავშვები დარჩნენ დედის მზრუნველობის ქვეშ და ბავშვებს, მათივე ინტერესების გათვალისწინებით, საცხოვრებლად განესაზღვრათ დედის საცხოვრებელი ადგილი.

7. ნარიმანოვის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით 2014 წლის 18 ნოემბრიდან ა. მ-ს არასრულწლოვანი შვილების – ე. მ-ასა და ფ. მ-ასათვის ყოველთვიურად დაეკისრა აღიშენების გადახდა, თითოეულის სასარგებლოდ 108 (ას რვა) აზერბაიჯანული მანათის გადახდა, შესაბამისად, ყოველთვიურად სულ – 216 (ორას თექვსმეტი) აზერბაიჯანული მანათის გადახდა, შვილების სრულწლოვანებამდე.

8. ე. ე-ას მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა და თანდართული დოკუმენტაცია შეესაბამება მინსკის კონვენციას. მასალებში წარმოდგენილია ცნობა, რომ წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2015 წლის 20 აპრილს და მიმართულია აღსასრულებლად, ასევე, ცნობა იმის თაობაზე, რომ ხსენებული გადაწყვეტილება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ არის შესრულებული.

9. საქმის მასალებშია ქ. ბაქოს ნარიმანოვის რაიონული სასამართლის 2015 წლის 5 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით ე. ე-ას შუამდგომლობა ნარიმანოვის რაიონის სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე განსახილველად მიიღო.

11. ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული შუამდგომლობა თანდართული მასალებით 2015 წლის 13 ოქტომბერს გადაეგზავნა ა. მ-ს, გზავნილი ამავე წლის 16 ოქტომბერს ჩაჰპარდა მის დედას – ს. მ-ს (იხ. შესაბამისი საქმის მასალები).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

12. საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ ე. ე-ას

შუამდგომლობა წარმომავლის რაიონის სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების (საქმე № 2(005) – 358/2015) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებაზე დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

13. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ მე-12 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2015 წლის 20 აპრილიდან და ამავე წლის 5 მაისს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაცემულია სააღსრულებო ფურცელი და წარმომავლის სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე (იხ. ამ განჩინების მე-8, მე-9 პუნქტები).

14. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

15. ამ განჩინების მე-14 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი და არც შუამდგომლობაში მითითებულ მოწინააღმდეგე მხარე ა. მ-ს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება ან მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მიერ გაგზავნილი განჩინებისა და თანდართული მასალების მიღების შემდეგ, მათ შორის, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მეხამე პუნქტის თანახმად (იხ. ამ განჩინების მე-11 პუნქტი).

16. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა. ამავე კანონის 70-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო 71-ე მუხლის თანახმად, შუამდგომლობის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისათვის, ე. ე-ას წარმოდგენილი აქვს კანონ-

ნით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ცნობა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 69-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ე. ე-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და აღსასრულებლად მიექცეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ნარიმანოვის რაიონის სასამართლოს (შემდეგში – ნარიმანოვის რაიონის სასამართლოს) 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება (საქმე № 2(005) – 358/2015), რომლითაც:
  - შეწყდა 2010 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში რეგისტრირებული ქორწინება (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისანი-სამგორის რაიონის სამსახურში, რეგ.№...) ე. ე-ასა და ა. მ-ს შორის;
  - 2... წელს დაბადებული ე. მ-ა და 2... წელს დაბადებული ფ. მ-ა დარჩნენ დედის – ე. ე-ას მზრუნველობის ქვეშ;
  - 2014 წლის 18 ნოემბრიდან ა. მ-ს დაეკისროს ალიმენტის გადახდა თავისი არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ, ე. მ-ასათვის – ყოველთვიურად 108 (ას რვა) მანათი და ფ. მ-ასათვის – ყოველთვიურად 108 (ას რვა) მანათი, სულ 216 (ორას თექვსმეტი) მანათი ყოველთვიურად, შვილების სრულწლოვანებაამდე;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ალიმენტი

### განჩინება

№ა-3302-შ-68-2015

17 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. პ-მ სასამართლოში სარჩელი აღძრა ი. გ-ის მიმართ და მოითხოვა მისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევა და ალიმენტის დაკისრება.

2. რუსეთის ფედერაციის სარატოვის ოლქის ენგელსის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, კერძოდ ი. გ-ს ჩამოერთვა მშობლის უფლება ა. გ-ას მიმართ (დაბ. 24.11.2010წ.) და ე. პ-ს მიმართ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილის (ა. გ-ა) რჩენისათვის შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით.

3. სასამართლოს სხდომის თაობაზე მოპასუხე ი. გ-ი გაფრთხილებული იყო სათანადო წესით.

4. რუსეთის ფედერაციის სარატოვის ოლქის ენგელსის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

5. 2015 წლის 10 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ე. პ-მ და მოითხოვა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სარატოვის ოლქის ენგელსის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნობა ალიმენტის დაკისრების ნაწილში და აღსრულება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ე. პ-ს შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სარატოვის ოლქის ენგელსის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების (ალი-

მენტის დაკისრების ნაწილში) ცნობისა და აღსრულების შესახებ წარმოებაში იქნა მიღებული.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინების ასლი და ე. პ-ს შუამდგომლობა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად რამოდენიმეჯერ გაეგზავნა ი. გ-ს საქმეში არსებულ მისამართზე, მაგრამ ვერ ჩაბარდა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით ი. გ-ს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინებისა და ე. პ-ს შუამდგომლობის თაობაზე ეცნობა საჯარო შეტყობინების გზით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

10. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

11. სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სარატოვის ოლქის ენგელსის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების (ალიმენტის დაკისრების ნაწილში) ცნობა და აღსრულება.

12. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

13. ე. პ-ს შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სარატოვის ოლქის ენგელსის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების (ალიმენტის დაკისრების ნაწილში) ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

14. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სარატოვის ოლქის ენგელსის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ნაწილი, რომლის შესაბამისადაც ი. რ-ს ძე გ-ს (დაბ. 11.03.1966 წ.), მცხ. საქართველოში, ქ. ..., წ-ს ქ. №12, ე. ვ-ს ასულ პე-ოს (დაბ. 18.12. 1984წ.) მცხ: რფ, სარატოვის ოლქის ქ. ე-ი, ტ-ს ქ. 6, ბ. 515 სასარგებლოდ დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის ა. ი-ს ასულ გ-ას (დაბ. 04.12.2014წ.) რჩენისათვის ალიმენტის გადახდა მისი ყველა სახის შემოსავლის ¼ ნაწილის ოდენობით 2014 წლის 04 დეკემბრიდან შვილის სრულწლოვანების მიღწევამდე და მოხდეს მისი აღსრულება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# განქორწინება

## განჩინება

№ა-3307-შ-95-2014

26 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

ისრაელის რიშონ ლეციონის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 07/10/2007 წლის გადაწყვეტილებით შეწყდა ნ. ქ-ბ-ისა და ნ. ბ-ს ქორწინება.

იმავე სასამართლომ 04/11/2007 წელს გამოიტანა შესწორებული გადაწყვეტილება, ვინაიდან 07/10/2007 წლის გადაწყვეტილებაში მოპასუხის გვარი შეცდომით იყო მითითებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა ნ. ქ-ბ-მა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების ცნობის მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და საქმე განხილულია მხარეთა დასწრების გარეშე. განქორწინება განხორციელა ორივე მხარის თანხმობით.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ისრაელის რიშონ ლეციონის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 07/10/2007 წლის გადაწყვეტილებით შეწყდა ნ. ქ-ბ-ისა და ნ. ბ-ს ქორწინება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კა-

ნონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, ისრაელის რიშონ ლეციონის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 07/10/2007 წლის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. ქ-ბ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ისრაელის რიშონ ლეციონის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 07/10/2007 წლის გადაწყვეტილება და იმავე სასამართლოს 04/11/2007 წლის შესწორებული გადაწყვეტილება, რომელთა საფუძველზეც შეწყდა ნ. ქ-ბ-ისა და ნ. ბ-ს ქორწინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება



## **განქორწინება**

### **განჩინება**

№ა-347-შ-6-2015

26 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის შტუტგარტის უბნის სასამართლოს 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ა-სა და ს. ფ. ი-ს შორის 2002 წლის 30 აპრილის შტუტგარტის მმჩის ბიუროს წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი №....) შეწყდა. მხარეთა შორის საპენსიო უზრუნველყოფის მოთხოვნა არ გაყოფილა, ხოლო სასამართლო ხარჯების განაწილდა მხარეთა შორის.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ლ. ა-ს წარმომადგენელმა მ. კ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე, დასტურდება, რომ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2006 წლის 25 ივლისიდან, ამასთან, შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, იგი აღსრულებულია გერმანიის ტერიტორიაზე.

წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ლ. ა-ს საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 თებერვლის განჩინებით ლ. ა-ს შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ლ. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის შტუტგარტის უბნის სა-

სამართლოს 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის შტუტგარტის უბნის სასამართლოს 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ა-სა და ს. ფ. ი-ს შორის 2002 წლის 30 აპრილის შტუტგარტის მმჩის ბიუროს წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი ...) შეწყდა. მხარეთა შორის საპენსიო უზრუნველყოფის მოთხოვნა არ გაყოფილა, ხოლო სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ლ. ა-ის წარმომადგენელმა მ. კ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, მან განქორწინების რეგისტრაციის მიზნით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, თუმცა მხარის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით განხორცილებული განქორწინების რეგისტრაციისათვის სავალდებულო იყო ამ გადაწყვეტილების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე, დასტურდება, რომ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2006 წლის 25 ივლისიდან, ამასთან, შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, იგი აღსრულებულია გერმანიის ტერიტორიაზე. გადაწყვეტილებითვე დასტურდება ის გარემოება, რომ ლ.ა. საქართველოს მოქალაქეა.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთ-

ქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის შტუტგარტის უბნის სასამართლოს 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ა-ს შუამდგომლობა გერმანიის შტუტგარტის უბნის სასამართლოს 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.
2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის

შტუტგარტის უბნის სასამართლოს 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ა-ს და ს. ფ. ი-ს შორის 2002 წლის 30 აპრილის შტუტგარტის მმარის ბიუროს წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი ...) შეწყდა. მხარეთა შორის საპენსიო უზრუნველყოფის მოთხოვნა არ გაყოფილა, ხოლო სასამართლო ხარჯები განაწილდა მხარეთა შორის.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება**

№ა-629-შ-18-2014

14 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი: განქორწინება**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 19.11.2013 წლის გადაწყვეტილებით ნ. პ-სა და კ. პ-ს შორის 25.07.2009 წელს კონიგსდორფის მმარის ბიუროში რეგისტრირებული №../.... ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მართა ნ. ს-ამ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მხარეები მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამ-

დე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 19.11.2013 წლის გადაწყვეტილებით ნ. პ-სა და კ. პ-ს შორის 25.07.2009 წელს კიონიგსდორფის მმარის ბიუროში რეგისტრირებული №.../.... ქორწინება შეწყდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 19.11.2013 წლის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. პ-ის (ს-ას) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 19.11.2013 წლის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ნ. პ-სა და კ. პ-ს შორის 25.07.2009 წელს კიონიგსდორფის მმარის ბიუროში რეგისტრირებული №.../.... ქორწინება შეწყდა, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება**

№ა-1285-შ-29-2015

4 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

აშშ-ის ილინოისის შტატის კუკის ოლქის სასამართლოს ოჯახური ურთიერთობების განყოფილების 2006 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით (რეგისტრირებულია 2006 წლის 30 აგვისტოს) განქორწინდნენ მხარეები – რ. ჰ-ს და ს. რ. ჰ-ს.

რ. ჰ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით რ. ჰ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ რ. ჰ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ აშშ-ის ილინოისის შტატის კუკის ოლქის სასამართლოს ოჯახური ურთიერთობების განყოფილების 2006 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით (რეგისტრირებულია 2006 წლის 30 აგვისტოს) განქორწინდნენ მხარეები – რ. ჰ-ს და ს. რ. ჰ-ს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა

იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, აშშ-ის ილინოისის შტატის კუკის ოლქის სასამართლოს ოჯახური ურთიერთობების განყოფილების 2006 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება (რეგისტრირებულია 2006 წლის 30 აგვისტოს) იმ ნაწილში, რომლითაც განქორწინდნენ მხარეები – რ. ჰ-ს და ს. რ. ჰ-ს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. ჰ-ის შუამდგომლობა აშშ-ის ილინოისის შტატის კუკის ოლქის სასამართლოს ოჯახური ურთიერთობების განყოფილების 2006 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების (რეგისტრირებულია 2006 წლის 30 აგვისტოს) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას აშშ-ის ილინოისის შტატის კუკის ოლქის სასამართლოს ოჯახური ურთიერთობების განყოფილების 2006 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება (რეგისტრირებულია 2006 წლის 30 აგვისტოს) იმ ნაწილში, რომლითაც განქორწინდნენ მხარეები – რ. ჰ-ს და ს. რ. ჰ-ს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება**

№ა-1596-შ-36-2015

17 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**მოსამართლე ნ. ბაქაქური**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის რაინეს პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხარეებს – თ. ე-სა და ბ. გ. ე-ს შორის, 2007 წლის 12 ოქტომბერს მიუნსტერის მმარის ბიუროს წარმომადგენლის მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით ....

თ. ე-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის განხილულია ზეპირი მოსმენით და კანონიერ ძალაში 2015 წლის 3 მარტს შევიდა. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ირკვევა ისიც, რომ გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის განჩინებით წინამდებარე შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში დაევალა შემდეგი დოკუმენტის წარმოდგენა: ცნობა იმის შესახებ, რომ მოპასუხე ბ. გ-ო უწყების ჩაბარების გზით იქნა გაფრთხილებული სასამართლოში საქმის განხილვის თაობაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ თ. ე-ის შუამდგომლობა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის რაინეს პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დარჩეს გა-



ნუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობისა და საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა თ. ე-მა და მოითხოვა განქორწინების ნაწილში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის განჩინებით წინამდებარე შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში დაევალა შემდეგი დოკუმენტის წარმოდგენა: ცნობა იმის შესახებ, რომ მოპასუხე ბ. გ-ო უწყების ჩაბარების გზით იქნა გაფრთხილებული სასამართლოში საქმის განხილვის თაობაზე.

ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება შუამდგომლობის ავტორს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად, გაეგზავნა საქმეში მის მიერ მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, ვ-ი, ... მიკ. ... კვარტ ... კორპუსი, ბ..... სასამართლოში დაბრუნებული საფოსტო შეტყობინების ბარათის თანახმად, გზავნილი მითითებულ მისამართზე 2015 წლის 20 მაისს ჩაბარდა თ. ე-ს. ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში შუამდგომლობის ავტორს დაკისრებული საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია და არც რაიმე სხვა შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხო-

ლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

ამდენად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ათ-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2015 წლის 21 მაისს და ამოიწურა 1 ივნისს. მხარეს აღნიშნული ვადის განმავლობაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე სხვა შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. კანონის დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარე სწორედ კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებული, განახორციელოს მისთვის დაკისრებული საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ მან დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შუამდგომლობის ავტორს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დაკისრებული საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს საკასაციო სასამართლოსათვის, პალატა თვლის, რომ თ. ე-ის შუამდგომლობა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის რაინეს პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დარჩეს გაუხილველად.

იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო შუამდგომლობის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით და

## **დაადგინა:**

თ. ე-ის შუამდგომლობა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის რაინეს პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დარჩეს განუხილველად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება**

№ა-2068-შ-44-2015

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვუპერტალის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით გაუქმდა 2010 წლის 18 აგვისტოს ქალაქ თბილისის მთანინდა-კრწანისის მმაჩის ბიუროს მიერ გ. ზ-სა და ტ. ზ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება სარეგისტრაციო ნომრით ..... (მონმობის რეგისტრაციის ნომერი .....).

გ. ზ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის განხილულია ზეპირი მოსმენით და კანონიერ ძალაში 2015 წლის 26 მარტს შევიდა. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ირკვევა ისიც, რომ გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით გ. ზ-ის შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე ტ. ზ-ს გავგზავნა 2015 წლის 5 აგვისტოს და ჩაბარდა 2015 წლის 10 აგვისტოს, თუმცა მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ გ. ზ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვუპერტალის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვუპერტალის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით გაუქმდა 2010 წლის 18 აგვისტოს ქალაქ თბილისის მთანმინდა-კრწანისის მმარის ბიუროს მიერ გ. ზ-სა და ტ. ზ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება სარეგისტრაციო ნომრით ... (მონუმბის რეგისტრაციის ნომერი .....).

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამონებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის განხილულია ზეპირი მოსმენით და კანონიერ ძალაში 2015 წლის 26 მარტს შევიდა. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ირკვევა ისიც, რომ გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათ-

ვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვუპერტალის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. გ. ზ-ის შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვუპერტალის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვუპერტალის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა 2010 წლის 18 აგვისტოს ქალაქ თბილისის მთანმინდა-კრწანისის მმაჩის ბიუროს მიერ გ. ზ-სა და ტ. ზ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება სარეგისტრაციო ნომრით ... (მონუმბის რეგისტრაციის ნომერი .....);

3. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სავალდებულოა.

# განქორწინება

## განჩინება

№ა-2533-შ-52-2015

7 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით ე. გ-სა და ა. კ-ს შორის 2009 წლის 29 აპრილს ქ. თესსალონიკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

ე. გ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საბერძნეთის ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვევა, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 2 ივნისს, მხარეთა მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის გამო. ამასთან, ე. გ-ის განმარტებით, გადაწყვეტილება აღსრულებულია საბერძნეთის ტერიტორიაზე.

შუამდგომლობაზე დართული პასპორტით დასტურდება, რომ ე. გ-ი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ივლისის განჩინებით ე. გ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ე. გ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ. ათენის პირ-

ველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საბერძნეთის ქ.ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით ე. გ-სა და ა. კ-ს შორის 2009 წლის 29 აპრილს ქ.თესსალონიკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 2 ივნისს და შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია საბერძნეთის ტერიტორიაზე. შუამდგომლობაზე დართული პასპორტით დასტურდება, რომ ე. გ-ი საქართველოს მოქალაქეა.

ე. გ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საბერძნეთის ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკობლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, საბერძნეთის ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. გ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმა-

ყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას საბერძნეთის ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც ე. გ-სა და ა. კ-ს შორის 2009 წლის 29 აპრილს ქ.თესსალონიკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება**

№ა-1475-შ-35-2015

19 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქური**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ც. მ-სა და ლ. მ-ს შორის არსებული ქორწინება. ამავე გადაწყვეტილებით ც. მ-ს მიეცა უფლება, ისარგებლოს ქალიშვილობის გვარით – ს-ი, ან სხვა წინა გვარით, სურვილისამებრ.

2. ც. ს-მა (მ-მა) შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილების, ასევე მისი სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის შესწავლით ირკვევა, რომ მოპასუხე ლ. მ-ი ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე და მან თანხმობა განაცხადა სარჩელის დაკ-



მაყოფილებაზე. ასევე დგინდება რომ, გადაწყვეტილება შესუ-  
ლია კანონიერ ძალაში 2011 წლის 14 ივლისს. შუამდგომლობაზე  
დართული ც. ს-ის პირადობის მონმობის ასლით დასტურდება,  
რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატის 2015 წლის 1 ივნისის განჩინებით ც. ს-ის შუამ-  
დგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკაცაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და  
თვლის, რომ ც. ს-ის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტა-  
ტების ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის  
23 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე  
ცნობის შესახებ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ  
გარემოებათა გამო:

2. ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ იორკის შტატის  
უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილე-  
ბით ბათილად იქნა ცნობილი ც. მ-სა და ლ. მ-ს შორის არსებული  
ქორწინება. ამავე გადაწყვეტილებით ც. მ-ს მიეცა უფლება ისარ-  
გებლოს ქალიშვილობის გვარით – ს-ით, ან სხვა წინა გვარით,  
სურვილისამებრ.

3. ც. ს-მა (მ-მა) შუამდგომლობით მომართა საქართველოს  
უზენაეს სასამართლოს ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ  
იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის  
გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესა-  
ხებ.

4. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, მან განქორწი-  
ნების რეგისტრაციის მიზნით მიმართა საქართველოს იუსტი-  
ციის სამინისტროს, თუმცა მხარის მოთხოვნა არ დაკმაყოფილ-  
და იმ საფუძვლით, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყ-  
ვეტილებით განხორცილებული განქორწინების რეგისტრაცი-  
ისათვის სავალდებულო იყო ამ გადაწყვეტილების საქართვე-  
ლოს უზენაესი სასამართლოს მიერ ცნობა. ამასთანავე, ხარვე-  
ზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
2015 წლის 7 მაისის განჩინების პასუხად, შუამდგომლობის ავ-  
ტორმა განმარტა, რომ გვარის შეცვლის ნაწილში გადაწყვეტი-  
ლების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის იურიდიული ინ-  
ტერესი მისი შვილისათვის საქართველოს მოქალაქის პირადო-  
ბის მონმობის აღება იყო.

5. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამარ-  
თლოს ბეჭდით დამოწმებული გადაწყვეტილების, ასევე მისი სა-

ნოტარო წესით დამონმებული ქართულენოვანი თარგმანის შესწავლით ირკვევა რომ, მოპასუხე ლ. მ-ი ინფორმირებული იყო საქმის განხილვაზე, მან თანხმობა განაცხადა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. წარმოდგენილი გადანყვეტილებით ასევე დგინდება რომ, ის შესულია კანონიერ ძალაში 2011 წლის 14 ივლისს. შუამდგომლობაზე დართული პირადობის მონმობის ასლით ირკვევა საქართველოს საერთაშორისო კომპეტენცია წინამდებარე საკითხის განხილვაზე.

6. საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადანყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადანყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქვება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

7. ამდენად, უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადანყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადანყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადანყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადანყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

8. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დად-

გენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება განქორწინების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

9. რაც შეეხება ც. ს-ის (მ-ის) შუამდგომლობას, ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას, მისთვის ქალიშვილობის გვარით – ს-ი, ან სხვა წინა გვარით სურვილისამებრ სარგებლობის უფლების მინიჭების ნაწილში, პალატა მიიჩნევს რომ ამ ნაწილში არ არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილების ფაქტობრივი საფუძველი, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით დაგინდება, რომ ც. მ-ს დაბრუნებული აქვს ქორწინებამდელი გვარი – ს-ი.

10. პალატა მოიხმობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. ამავე კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად კი, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

11. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც მიღწეულია ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შემთხვევაში დადგენოდა, პალატა მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა მითითებულ ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, სასამართლოს ამ მოსაზრებას ვერ შეცვლის ც. ს-ის განმარტება, რომ ქალიშვილობის გვარით სარგებლობის უფლების მინიჭების ნაწილში გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის ინტერესი მისი შვილის – ა. ს-ის, როგორც საქართველოს მოქალაქის სახელზე პირადობის მოწმობის გამაა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ც. ს-ის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ც. მ-სა და ლ. მ-ს შორის არსებული ქორწინება ბათილად იქნა ცნობილი, დანარჩენ ნაწილში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **გ ა ნ ქ ო რ ნ ი ნ ე ბ ა**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ა-3155-შ-63-2015

20 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** განქორწინება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. გერმანიის ქ. ბადენ-ბადენის საუზნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით შეწყდა ს. კ. პ. კ-სა და ე. კ-ს შორის 2006 წლის 23 ივნისის კარლსრუეს მმაჩის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება

(ქორწინების სარეგისტრაციო №341).

2. გერმანიის ქ. ბადენ-ბადენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

3. 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ე. კ-მა და მოითხოვა ქორწინების შეწყვეტის ნაწილში გერმანიის ქ. ბადენ-ბადენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აგვისტოს განჩინებით ე. კ-ის შუამდგომლობა ქორწინების შეწყვეტის ნაწილში გერმანიის ქ. ბადენ-ბადენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ წარმოებაში იქნა მიღებული განსახილველად.

5. წარმოდგენილია ს. კ. პ. კ-ის თანხმობა გერმანიის ქ. ბადენ-ბადენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

გერმანიის ქ. ბადენ-ბადენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით შეწყდა ს. კ. პ. კ-სა და ე. კ-ს შორის 2006 წლის 23 ივნისს კარლსრუეს მმანის ბიუროს მიერ რესგისტრირებული ქორწინება (ქორწინების სარეგისტრაციო №341).

7. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

8. სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით

გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, გერმანიის ქ. ბადენ-ბადენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება ს. კ. პ. კ-სა და ე. კ-ს შორის 2006 წლის 23 ივნისს კარლსრუეს მმჩის ბიუროს მიერ რესგისტრირებული ქორწინების (ქორწინების სარეგისტრაციო №341) შეწყვეტის შესახებ ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის განწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

10. ე. კ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ბადენ-ბადენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება ს. კ. პ. კ-სა და ე. კ-ს შორის 2006 წლის 23 ივნისს კარლსრუეს მმჩის ბიუროს მიერ რესგისტრირებული ქორწინების (ქორწინების სარეგისტრაციო №341) შეწყვეტის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

11. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ქ. ბადენ-ბადენის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება ს. კ. პ. კ-სა და ე. კ-ს შორის 2006 წლის 23 ივნისს კარლსრუეს მმჩის ბიუროს მიერ რესგისტრირებული ქორწინების (ქორწინების სარეგისტრაციო №341) შეწყვეტის ნაწილში.

12. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ბანქორნინება

### განჩინება

№ა-2713-შ-57-2015

20 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: განქორწინება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ფ-მა განცხადებით მიმართა ტულუზის მაღალი ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვა ო. გ-ძესთან განქორწინება.

2. საფრანგეთის ქ. ტულუზის მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით განქორწინდნენ ნ. ფ-ი და ო. გ-ძე, რომელთა ქორწინებაც რეგისტრირებული იყო საქართველოში, ქ. თბილისში 1993 წლის 27 აგვისტოს.

3. საფრანგეთის ქ. ტულუზის მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

4. 2015 წლის 14 ივლისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ო. გ-ძის წარმომადგენელმა – შ. ბ-მა და მოითხოვა საფრანგეთის ქ. ტულუზის მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა განქორწინების ნაწილში.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ივლისის განჩინებით ო. გ-ძის შუამდგომლობა საფრანგეთის ქ. ტულუზის მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილების (განქორწინების ნაწილში) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ წარმოებაში იქნა მიღებული განსახილველად.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ივლისის განჩინების ასლი და ო. გ-ძის შუამდგომლობა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად ჩაბარა ნ. ფ-ის დედას ლ. ფ-ს 2015 წლის 30 სექტემბერს.

#### სამოტივაციო ნაწილი:

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატა გაცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

8. საფრანგეთის ქ. ტულუზის მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით განქორწინდნენ ნ. ფ-ი და ო. გ-ძე, რომელთა ქორწინებაც რეგისტრირებული იყო საქართველოში, ქ. თბილისში 1993 წლის 27 აგვისტოს.

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

10. სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, საფრანგეთის ქ. ტულუზის მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება განქორწინების ნაწილში ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

11. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

12. ო. გ-ძის შუამდგომლობა საფრანგეთის ქ. ტულუზის მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილების განქორწინების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისთაობაზე დაკმაყოფილდეს;

13. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე საფრანგეთის ქ. ტულუზის მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის



5 მაისის გადაწყვეტილება განქორწინების ნაწილში, რომლითაც განქორწინდნენ (ქორწინების რეგისტრაცია: საქართველო, ქ. თბილისში 1993 წლის 27 აგვისტო) ნ. ფ-ი და ო. გ-ძე.

14. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება**

№ა-3157-შ-64-2015

22 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. საბერძნეთის, ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 03 თებერვლის №153/2015 გადაწყვეტილებით (შემდეგში – ათენის სასამართლოს გადაწყვეტილება) შეწყდა მ. ლ-სსა (ქორწინებამდელი გვარი ზ-ე) და დ. ლ-სს შორის 2010 წლის 12 თებერვალს საქართველოში რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების სააქტო ჩანაწერის №...).

2. ათენის სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მხარეებს ქორწინების განმავლობაში არ შესძენიათ შვილები, მათ ერთობლივი განცხადება წარადგინეს განქორწინებაზე და, საბერძნეთის კანონმდებლობის მიხედვით, განცხადება უდავო წარმოების წესით განიხილეს.

3. ათენის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 20 მაისს.

4. მ. ლ-სმა 2015 წლის 17 აგვისტოს შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

5. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 27 აგვისტოს განჩინებით განსახილველად მიიღო მ. ლ-სს შუამდგომლობა.

6. განჩინების მე-4 პუნქტში მითითებული შუამდგომლობა თანდართული მასალებით 2015 წლის 18 სექტემბერს გაეგზავნა მონინაალმდეგე მხარეს, რომელსაც გზავნილი ჩაჰბარდა ამავე წლის 28 სექტემბერს (იხ. შესაბამისი აქტი საქმის მასალებში).

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ მ. ლ-სს შუამდგომლობა საბერძნეთის ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 03 თებერვლის №153/2015 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

7. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ მხარეებმა ერთობლივი განცხადებით მიმართეს სასამართლოს, ქორწინების განმავლობაში მათ შვილები არ შესძენიათ, სასამართლომ უდავო წარმოების წესით განიხილა საქმე და გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (იხ. ამ განჩინების მე-2 და მე-3 პუნქტები).

8. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

9. ამ განჩინების მე-8 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი და არც შუამდგომლობაში მითითებულ მონინაალმდეგე მხარე დ. ლ-სს წარმოდგენია რაიმე მტკიცებულება ან მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მიერ გაგზავნილი განჩინებისა და თანდართული მასალების მიღების შემდეგ (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი).

10. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო

კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ლ-სს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე საბერძნეთის, ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 03 თებერვლის №153/2015 გადაწყვეტილება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **გ ა ნ ქ ო რ ნ ი ნ ე ბ ა**

#### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ა-2947-შ-60-2015

24 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**პ. ქათამაძე,**  
**ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. საბერძნეთის ქ. როდოპის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა ქორწინება მ. გ-სა და ვ. კ-ს შორის, რომელიც რეგისტრირებული იყო საქართველოში, ქ. სოხუმში 2005 წლის 19 სექტემბერს.

საბერძნეთის ქ. როდოპის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

2015 წლის 29 ივლისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ. გ-მა და მოითხოვა საბერძნეთის ქ. როდოპის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერი-

ტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 აგვისტოს განჩინებით მ. გ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ. როდოპის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ წარმოებაში იქნა მიღებული განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 აგვისტოს განჩინება და მ. გ-ის შუამდგომლობა თანდართულ მასალებთან ერთად გაეგზავნა ვ. კ-ს, რაც ჩაბარდა 2015 წლის 20 სექტემბერს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საბერძნეთის ქ. როდოპის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა ქორწინება მ. გ-სა და ვ. კ-ას შორის, რომელიც რეგისტრირებული იყო საქართველოში, ქ. სოხუმში 2005 წლის 19 სექტემბერს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

8. სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, საბერძნეთის ქ. როდოპის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყვეტილ იქნა ქორწინება მ. გ-სა და ვ. კ-ას შორის (რეგისტრირებული საქართველოში, ქ. სოხუმში 2005 წლის 19 სექტემბერს), ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ-ზ გ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ. როდოპის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე მოითხოვა საბერძნეთის ქ. როდოპის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყვეტილი იქნა საქართველოში, ქ. სოხუმში 2005 წლის 19 სექტემბერს რეგისტრირებული ქორწინება მ-ზ გ-სა და ვ-ა კ-ას შორის.

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **გ ა ნ ქ ო რ ნ ი ნ ე ბ ა**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ა-3152-შ-62-2015

26 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),

ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),

პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს 2015 წლის

15 აპრილის გადაწყვეტილებით №113F379/15 ქ. ი-ისა (მოსარჩელის, რომლის ქორწინებამდელი გვარი კ-ია) და გ. ი-ის (მოპასუხე) ქორწინება გაუქმდა. ამავე გადაწყვეტილებით მეუღლეთა წილები არ გათანაბრებულა.

2. ქ. ი-იმ 2015 წლის 17 აგვისტოს შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული სასამართლოს გადაწყვეტილებისა და თანდართული დოკუმენტებით დასტურდება, რომ ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების მიღებისას, მოსარჩელე და მოპასუხე მხარეები წარმოდგენილი იყვნენ ადვოკატებით.

4. ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, დადგენილია, რომ გაუქმდა ქ. ი-ისა და გ. ი-ის 2005 წლის 23 ნოემბერს რეგისტრირებული (№...) ქორწინება.

5. წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2015 წლის 15 აპრილიდან.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 27 აგვისტოს განჩინებით ქ. ი-ის შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ განსახილველად მიიღო.

7. ამ განჩინების მე-6 პუნქტში მითითებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება თანდართული მასალებით, 2015 წლის 22 სექტემბერსა და 23 ოქტომბერს გაეგზავნა მონინალმდეგე მხარეს, გ. ი-ის, რომელსაც ორივე შემთხვევაში გზავნილი ვერ ჩაჰბარდა ადრესატის არასწორი მისამართის გამო (იხ. შესაბამისი აქტები საქმის მასალებში).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ ქ. ი-ის შუამდგომლობა გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს 2015 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილების №113F379/15 საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად

დასტურდება, რომ სარჩელი აღძრა ქ. ი-იმ, სასამართლოში განქორწინების საკითხის განხილვისას, მოსარჩელეც და მოპასუხეც წარმოდგენილი იყვნენ ადვოკატებით და ისარგებლეს მათი პროფესიული დახმარებით. მართალია, მოპასუხეს, სასამართლოს არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ ჩაჰპარდა გზავნილი, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უფლებამოსილია, განიხილოს შუამდგომლობა, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება არ უკავშირდება ქორწინების გაუქმების გარდა, სხვა ისეთ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია მშობლის უფლებასთან ბავშვის მიმართ ან მხარეთა ქონებრივ უფლებებთან; საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ განქორწინებისას მოპასუხე მხარის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი.

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

10. ამ განჩინების მე-9 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი.

11. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. ი-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს 2015 წლის 15 აპრილის გა-

დანყვეტილება №113ჰ379/15, რომლითაც შეწყდა რეგისტრირებული ქორწინება გ. ი-ისა და ქ. ი-ის შორის;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება**

№ა-4076-შ-82-2015

7 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეცი**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

კანადის კვებეკის პროვინციის მონრეალის ოლქის 2004 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხარეებს – ს. ჩ-სა და პ. მ-ს შორის, 2000 წლის 21 ოქტომბერს თბილისის მმარის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება.

პ. მ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის განხილულია ზეპირი მოსმენით და სასამართლო სხდომაზე მხარეები იღებდნენ მონაწილეობას, დასტურდება ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2004 წლის 26 მარტს შევიდა. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ირკვევა ისიც, რომ გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია, ხოლო საქმეში წარმოდგენილი პირადობის მონმობის ასლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ნოემბრის განჩინებით პ. მ-ის შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე ს. ჩ-ს გაეგზავნა 2015 წლის



18 ნოემბერს და ჩაბარდა 2015 წლის 24 ნოემბერს, თუმცა მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ პ. მ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, კანადის კვებეკის პროვინციის მონრეალის ოლქის 2004 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ კანადის კვებეკის პროვინციის მონრეალის ოლქის 2004 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხარეებს – ს. ჩ-სა და პ. მ-ს შორის, 2000 წლის 21 ოქტომბერს თბილისის მმჩის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამონშებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის განხილულია ზეპირი მოსმენით და სასამართლო სხდომაზე მხარეები იღებდნენ მონაწილეობას, დასტურდება ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2004 წლის 26 მარტს შევიდა. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ირკვევა ისიც, რომ გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია, ხოლო საქმეში წარმოდგენილი პირადობის მონაწილეობის ასლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავ ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, კანადის კვებეკის პროვინციის მონრეალის ოლქის 2004 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

პ. მ-ის შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე კანადის კვებეკის პროვინციის მონრეალის ოლქის 2004 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე კანადის კვებეკის პროვინციის მონრეალის ოლქის 2004 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა მხარეებს – ს. ჩ-სა და პ. მ-ს შორის, 2000 წლის 21 ოქტომბერს თბილისის მმარის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება);

უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **გ ა ნ კ ო რ წ ი ნ ე ბ ა**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ა-4694-შ-94-2015

21 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის**

**მოსამართლე ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის ვ.ი. კ-ის მოსკოვის ოლქის ისტრინ-

სკის რაიონის №63 სასამართლოს 2013 წლის 8 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გაუქმდა დ. რ.ს ასულ ბ-სა (გვარი ქორწინებამდე - ბ-) და ლ. ს-ს შორის 2002 წლის 22 ივნისს ქ.თბილისის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს №2 სპეციალიზებული განყოფილების მიერ, №67 სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მართა ლ. ს-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მარეგისტრირებელ ორგანოში (მმაჩში) წარსადგენი 2013 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების ამონაწერის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით დასტურდება, რომ საქმის განხილვას ესწრებოდა დ. ბ-ი. რაც შეეხება მოპასუხე ლ. ს-ს, შეტყობინება გაეგზავნა სათანადო წესით, მაგრამ არ გამოცხადებულა სხდომაზე. შუამდგომლობაზე დართული მინდობილობით ირკვევა, რომ ლ. ს-ი საქართველოს მოქალაქეა. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 9 მაისს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ შუამდგომლობას მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი ამონაწერის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის ნაწილში უარი უნდა ეთქვას წარმოებაში მიღებაზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნობის ნაწილში კი შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს შემდეგი გარემოებების გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს.

განსახილველ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი ითხოვს მარეგისტრირებელ ორგანოში (მმაჩში) წარსადგენი რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ისტრინსკის რაიონის №63 სასამართლოს 2013 წლის 8 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ამონაწერის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას. პალატა განმარტავს რომ, აღნიშნული ამონაწერი არ წარმოად-

გენს სასამართლო გადაწყვეტილებას, არამედ ესაა სასამართლოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც აღსასრულებლად წარიმართება უფლებამოსილ ორგანოში. ამგვარი დოკუმენტის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას კი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლი არ ითვალისწინებს. ამასთანავე უდავოა, რომ ამონაწერი იმავე შინაარსის მატარებელი დოკუმენტია, რაც თავად დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ დოკუმენტის ცნობით რაიმე განსხვავებული შედეგი არ დადგება. შესაბამისად, ამ ამონაწერის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიმართ მხარეს არ გააჩნია სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ინტერესი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

საქმის მასალებში არ მოიპოვება მოწინააღმდეგე მხარის – დ. ბ-ის მისამართი, მაშინ, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დანაწესია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობას უნდა დაუდგინდეს ხარვეზი და მის ავტორს დაევალოს მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინოს დ. ბ-ის მისამართი, ხოლო, სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ და ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტების თანახმად, მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი ამონაწერის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის ნაწილში უარი უნდა ეთქვას წარმოებაში მიღებაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე, 186-ე მუხლებით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ს-ის შუამდგომლობას მარეგისტრირებელ ორგანოში

წარსადგენი ამონაწერის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის ნაწილში უარი ეთქვას წარმოებაში მიღებაზე.

2. ლ. ს-ს დაევალოს, მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში მიუთითოს მონინალმდებელ მხარის – დ. ბ-ის მისამართი.

3. განემარტოს შუამდგომლობის ავტორს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა განუხილველად დარჩება.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **გ ა ნ ძ ო რ ნ ი ნ ე ბ ა**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ა-823-შ-17-2016

25 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ბ. ალავეძე,**

**ზ. ძლიერიშვილი**

**დავის საგანი:** ქორწინების შეწყვეტა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. აშშ-ის ნიუ-ორკის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა ქორწინება პ. ა-სა და რ. გ-ს შორის.

2. 2016 წლის 4 მარტს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა პ. ა-მა, რომელმაც მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

3. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. დადგენილია, რომ აშშ-ის ნიუ-ორკის უზენაესი სასამარ-

თლოს 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა ქორწინება პ. ა-სა და რ. გ-ს შორის.

5. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

6. ამდენად, აშშ-ის ნიუ-ორკის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყვეტილ იქნა ქორწინება პ. ა-სა და რ. გ-ს შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

7. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. პ. ა-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას აშშ-ის ნიუ-ორკის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყვეტილ იქნა ქორწინება პ. ა-სა და რ. გ-ს შორის;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# განქორწინება

## განჩინება

№ა-1071-შ-26-2016

6 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),

ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის, ფრანკფურტის/მაინის სამხარეო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის 459 F 8043/14 შ გადაწყვეტილებით შეწყდა კ. კ-ასა (შემდეგში მოპასუხე ან შუამდგომლობის ავტორი) და ე. ვ-ს (შემდეგში განმცხადებელი ან მონინალმდგე მხარე) შორის 2008 წლის 22 ივლისს, საქართველოში, დიდუბე-ჩუღურეთის მმაჩის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება.

2. დასახელებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ განმცხადებელმა შეიტანა განცხადება განქორწინებაზე, სასამართლოში ორივე მხარე წარმოდგენილი იყო ადვოკატით. გერმანიის საოჯახო სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხე დაეთანხმა წარდგენილ განცხადებას ქორწინების შეწყვეტის შესახებ. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ ფაქტობრივად ქორწინება დარღვეულია და თითოეული მათგანი, 2012 წლის მაისიდან, ცალცალკე ცხოვრობს და თანახმა არიან განქორწინებაზე, რადგან აღარ აპირებენ ცოლქმრული თანაცხოვრების აღდგენას.

3. გერმანიის საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილებითვე დადგენილია, რომ მხარეთა შორის ქორწინების დროს შექმნილი ქონების განაწილების საკითხი არ განიხილება. მხარეებმა 2015 წლის 28 მაისს დადეს სამართლებრივი შეთანხმება, ქორწინების პერიოდში შექმნილი წილების გაყოფის საკითხზე, უზრუნველყოფასა და კომპენსაციის მიღების უფლების გამოყენებაზე და გამოორიცხეს ქორწინების პერიოდში შექმნილი წილების გაყოფის საკითხი.

4. მოპასუხემ 2016 წლის 22 მარტს შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ამ გან-

ჩინების პირველ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

5. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამონმებული, სასამართლოს გადაწყვეტილებისა და თავად შუამდგომლობის ავტორის განცხადებით, დადასტურებულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2015 წლის 28 მაისიდან და იგი აღსრულებულია გერმანიის ტერიტორიაზე.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2016 წლის 1 აპრილის განჩინებით, წარმოდგენილი შუამდგომლობა, თანდართული მასალებით, განსახილველად მიიღო.

7. ამ განჩინების მე-6 პუნქტში მითითებული საკასაციო სასამართლოს განჩინება თანდართული მასალებით, 2016 წლის 8 აპრილს გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს გერმანიის საოჯახო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ მისამართზე, რომელიც მას ვერ ჩაჰბარდა არასწორი მისამართის გამო (იხ. შესაბამისი აქტი საქმის მასალებში).

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ შუამდგომლობა გერმანიის, ფრანკფურტის/მაინის სამხარეო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის 459 F 8043/14 შ გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

8. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ სარჩელი აღძრა მოწინააღმდეგემ, მხარეთა ურთიერთობიდან გამომდინარე, მათ შორის უკვე რამდენიმე წელია, ფაქტობრივად შეწყვეტილია თანაცხოვრება. მხარეებს არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და ერთმანეთის მიმართ არ გააჩნიათ ქონებრივი ვალდებულებები.

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

10. ამ განჩინების მე-9 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყ-



ნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი.

11. საკასაციო სასამართლო, წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტში მითითებულ გარემოებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნოს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებად ვერ მიიჩნევა მოწინააღმდეგე მხარისათვის მასალების ჩაუბარებლობა, რადგან საქართველოს სასამართლომ გერმანიის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულ მისამართზე გააგზავნა მასალები მოწინააღმდეგესთან, ამასთან, ამავე განჩინების 1-3 პუნქტებში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ არსებობს შუამდგომლობის განხილვის შედეგად, მისი უარყოფის სამართლებრივი საფუძველი.

12. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. კ. კ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილი იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის, ფრანკფურტის/მაინის სამხარეო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის 459 F 8043/14 შ გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შეწყვეტილია კ. კ-ასა და ე. ვ-ს შორის ქორწინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## გზრუნველობა

### ბანჩინება

№ა-3360-შ-69-2015

27 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),

პ. ქათამაძე (მომხსენებელი),

ე. გასიტაშვილი

**განხილვის საგანი:** გერმანიის მიუნსტერის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2015 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის მიუნსტერის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2015 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით 2002 წლის 27 ივნისს დაბადებულ ზ. პ-ზე გზრუნველობა დაევალა დედას – ც. ხ-ეს.

2. ც. ხ-ემ, წარმომადგენელ მ. ბ-ის მეშვეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით ც. ხ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე განჩინების საფუძველზე ა. პ-ს გაეგზავნა შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მისი ადგილსამყოფელის მიხედვით; მოპასუხეს განემართა, რომ უფლება ჰქონდა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში წარმოედგინა მოსაზრება ც. ხ-ის შუამდგომლობის თაობაზე, ამასთან, მას შეეძლო, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი განხილვის გარეშე.

4. სასამართლო გზავნილი ა. პ-ს ჩაბარდა შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ მისამართზე.

5. 2015 წლის 3 და 10 ნოემბერს ა. პ-მა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განცხადებები წარმოადგინა. განმცხადებელმა იშუამდგომლა მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილ-

ვის თაობაზე.

5.1 ზემოხსენებული განცხადებები მოტივირებულია იმით, რომ ა. პ-ს გერმანიის სასამართლოს 2015 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს გზავნილის საფუძველზე ჩაბარდა, მანამდე მისთვის უცნობი იყო, რომ თავისი შვილის დედას – ც. ხ-ეს გერმანული სასამართლოსათვის ჰქონდა მიმართული იმ მიზნით, რომ ბავშვზე მზრუნველობა მხოლოდ მას დაეალებოდა.

5.2 განმცხადებელი აღნიშნავს, რომ შუამდგომლობაში ბავშვის დედის მიერ მოყვანილი ფაქტორების და საქმის მწარმოებლის მიერ მითითებული არასწორი გარემოებების გამო, შვილზე მზრუნველობა მას არ უნდა ჩამოერთვას, რის გამოც იგი აპირებს გერმანიაში დასახლებული გადანყვეტილების გასაჩივრებას.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ნოემბრის განჩინებით ა. პ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; ამავე განჩინებით დადგინდა, რომ ც. ხ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნსტერის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2015 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ განხილულ იქნეს ზეპირი მოსმენით, 2015 წლის 27 ნოემბერს, 11 საათზე; მხარეები მოწვეულ იქნენ საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

7. საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე შუამდგომლობის ავტორის – ც. ხ-ის წარმომადგენელმა მ. ბ-ემ იშუამდგომლა მის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის გამომხმობის თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

8. საკასაციო სასამართლო შუამდგომლობის განხილვისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ც. ხ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნსტერის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2015 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლებების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

10. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ.

11. სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დამკვიდრებულია პირის უფლება მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის მიზნით, ხოლო ამავე კოდექსის მე-3 მუხლი განამტკიცებს დისპოზიციურობის პრინციპს სამოქალაქო საპროცესო სამართალში, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანხმა, სასამართლო უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამასთანავე, მას დაეკისრება მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების გადახდა. სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

13. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

14. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის საფუძველზე, ზემოაღნიშნულ ნორმათა დანაწესი უნდა გავრცელდეს ასევე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტი-

ლებათა საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის (განცხადების) მიმართაც.

15. მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორის – ც. ხ-ის წარმომადგენელი მ. ბ-ე შუამდგომლობს მის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის გამოხმობის თაობაზე, რასაც ეთანხმება მონინალმდევე მხარე – ა. პ-ი. აქედან გამომდინარე, ც. ხ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნსტერის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2015 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 83<sup>1</sup>, 284-285-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე, 68-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ც. ხ-ის წარმომადგენელ მ. ბ-ის განცხადება შუამდგომლობის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. ც. ხ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნსტერის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2015 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დატოვებულ იქნეს განუხილველად.

3. ც. ხ-ეს დაუბრუნდეს თავისი შუამდგომლობა გერმანიის მიუნსტერის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2015 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ და თანდართული დოკუმენტები.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მეურვეობა

### განჩინება

№ა-1235-შ-27-2015

12 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** მეურვეობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ავსტრიის რესპუბლიკის ქლაგენფურტის საოლქო სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით მცირეწლოვანი მ. ა-ის მეურვეობა ერთპიროვნულად დაეკისრა დედას ი. ა-ს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ი. ა-ის წარმომადგენელმა თ. ტ-მა და მოითხოვა წინამდებარე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილების თანახმად, საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით, საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ ი. ა., ახალგაზრდობის საქველმოქმედო დახმარების წარმომადგენელი და ს. ა-ის დაუსწრებლობის კურატორი, რომელიც დაეთანხმა დედისათვის მეურვეობის გადაცემის საკითხს. გადაწყვეტილება 2012 წლის 18 აპრილიდან ძალაშია შესული, ამასთან დგინდება რომ მონაწილე პირები (არასრულწლოვნის მშობლები) არიან საქართველოს მოქალაქეები. რაც შეეხება გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიმართ მხარის იურიდიულ ინტერესს, შუამდგომლობის თანახმად, არასრულწლოვნის მეურვეს სურს შვილისათვის სამგზავრო დოკუმენტაციის აღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის განჩინებით ი.ა-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. ა-ის შუამდგომლობა ავსტრიის რესპუბლიკის ქლაგენ-

ფურტის საოლქო სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. ა-ი დაბადებულია 2006 წლის 23 მარტს;

მისი მშობლები არიან ს. ა-ი და ი. ა-ი;

არასრულწლოვნის მშობლები განქორწინებული არიან;

სასამართლოსთვის მიმართვა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ბავშვის მამა ექვსი წლის განმავლობაში არ გამოჩენილა, დედამ განიზრახა მ. ა-თვის პასპორტის აღება, რასაც შესაძლოა, მოჰყვეს გართულებები;

მ. ა-ის მშობლები საქართველოს მოქალაქეები არიან;

სასამართლო სხდომაზე მამის არდასწრების გამო, იგი წარმოდგენილი იყო დაუსწრებლობის კურატორით, რომელიც დაეთანხმა დედისათვის მეურვეობის გადაცემის მოთხოვნას;

დადგენილია, რომ დედა დასაქმებულია, ასევე დასაქმებულია მისი ამჟამინდელი ცხოვრების თანამგზავრი და ისინი ზრუნავენ არასრულწლოვანზე;

ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებს შორის კონტაქტი არ არსებობს;

ახალგაზრდობის საქველმოქმედო დახმარების წარმომადგენლის აზრით ბავშვის დედისათვის გადაცემა მცირეწლოვნის ნებას შეესაბამება;

თავად გადაწყვეტილებიდან დასტურდება, რომ იგი შესულია კანონიერ ძალაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის განჩინება, ასევე, შუამდგომლობაზე დართული მასალები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, 2015 წლის 21 მაისს ჩაბარდა ს. ა-ის ოჯახის ქმედუნარიან წევრს, დედას, რაც უშუალოდ მხარის ინფორმირებად განიხილება. ამავე განჩინებით მხარეს განემარტა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის უფლების თაობაზე და მოსაზრების წარმოდგენისათვის განესაზღვრა ვადა, თუმცა მოწინააღმდეგე მხარეს არც ამ ვადაში და არც მოგვიანებით სასამართლოს რაიმე შუამდგომლობით არ მოუპარტავს.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლით განსაზღვრულ მშობლის მოვალეობებს შვილების მიმართ. ნორმის მე-6 ნაწილის თანახმად, მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში. ამავე კოდექსის 1202-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალცალკე ცხოვრობენ, თუმცა 1205-ე მუხლით კანონმდებლობა ითვალისწინებს მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის შესაძლებლობას და ნორმის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დაიშორებულად.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტი-



ლება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ავსტრიის რესპუბლიკის ქლაგენფურტის საოლქო სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ა-ის შუამდგომლობა ავსტრიის რესპუბლიკის ქლაგენფურტის საოლქო სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე ავსტრიის რესპუბლიკის ქლაგენფურტის საოლქო სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც მცირეწლოვანი მ. ა-ის მეურვეობა ერთპიროვნულად დაეკისრა დედას – ი. ა-ს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# მეურვეობა

## განჩინება

№ა-2226-ს-48-2015

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),

ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** შვილზე მეურვეობის დადგენა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. კანადის ონტარიოს იუსტიციის სასამართლოს 2015 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით /ბრძანებით/ (შემდეგში – კანადის სასამართლოს გადაწყვეტილება) საქმეზე № M5B 2C4DFO-15-12803-00 A1, გ. ნ-ეს (შემდეგში – შუამდგომლობის ავტორი ან ბავშვის მამა) მიენიჭა დროებითი ცალკეული მეურვეობა ბავშვზე. სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით /ბრძანებით/ მოპასუხე თ. კ-ას (შემდეგში – მოწინააღმდეგე მხარე ან ბავშვის დედა; მცხ. საქართველო, ქ. თ-ი, ფ-ის ქ. ..., ბინა ..), მისი შეტყობინების გარეშე, დაევალა მცირეწლოვანი ბავშვის დაუყოვნებლივ დაბრუნება მისი მამისათვის, როგორც მზრუნველისა და მეურვისათვის.

2. მცირეწლოვანი ბავშვის, ... წლის .. დეკემბერს დაბადებული მ. ნ-ის, მამის განცხადებით, არასრულწლოვანი საქართველოში უკანონოდ დააკავა ბავშვის დედამ, რითაც დაირღვა ბავშვის მამის უფლება მეურვეობაზე და, „ჭააგის კონვენციის“ საფუძველზე, მან განაცხადი წარადგინა კანადის სასამართლოში, არასრულწლოვანის მამისათვის დაუყოვნებლივ დაბრუნების მოთხოვნით.

3. კანადის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ იგი შესულია კანონიერ ძალაში და არ გაუსაჩივრებია ბავშვის დედას.

4. შუამდგომლობის ავტორმა, რომელიც კანადის მოქალაქეა, უზენაეს სასამართლოს მომართა 2015 წლის 16 ივნისს და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი) 68-ე მუხლის თანახმად, მოითხოვა ამ განჩინების პირველ პუნ-

ქტში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილების /ბრძანების/ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

5. საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 25 ივნისის განჩინებით შუამდგომლობის ავტორს დაუდგინდა ხარვეზი, მასვე საკასაციო სასამართლოს 14 ივლისის, 29 ივლისის და 03 აგვისტოს განჩინებებით გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა და, საბოლოოდ, იმავე წლის 18 აგვისტოს შუამდგომლობის ავტორმა შეავსო ხარვეზი, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლომ 2015 წლის 19 აგვისტოს განჩინებით წარმოებაში მიიღო შუამდგომლობა.

6. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 აგვისტოს განჩინება, რომლითაც წარმოებაშია მიღებული შუამდგომლობა, თანდართულ მასალებთან გაეგზავნა მონინალმდევე მხარეს, მასვე განემარტა, რომ ჰქონდა აზრის გამოთქმის უფლება, აგრეთვე ის, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, საქმის განხილვა მოხდებოდა ზეპირი მოსმენით, მხარეთა მოწვევით, რადგან საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 71-მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ.

7. მონინალმდევე მხარემ 4 სექტემბერს წარმოადგინა ვრცელი პოზიცია შუამდგომლობის ავტორის მიერ მოთხოვნილი გადაწყვეტილების (ბრძანების) ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებით, მას საქმის ზეპირი განხილვა არ მოუთხოვია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

8. საკასაციო სასამართლო შუამდგომლობისა და საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა მოსაზრებების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის ავტორის პოზიცია არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან იგი ეწინააღმდეგება საერთაშორისო კერძო სამართლის კანონსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში-სსსკ) მოთხოვნებს.

9. საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით – გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

10. კანადის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის ცნო-

ბა-ალსრულებასაც ითხოვს ბავშვის მამა, მიღებულია ბავშვის დედისათვის შეტყობინების გარეშე, ეს უკანასკნელი კანადის კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო სხდომაზე არ იყო მინვეული, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სა-მართლებრივ პრინციპებს (იხ. განჩინების მე-9 პუნქტი).

11. კანადის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილე-ბა, ბავშვის დედის შეტყობინების გარეშე ჩატარებული სასა-მართლო სხდომის შემდეგ, გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს გასაჩივრების პროცესუალური უფლების რეალიზაციის მიზნით, რაც არ შეესაბამება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს, რომელიც სასარჩელო სამართალწარმოებისას ეფუძ-ნება მხარეთა უფლების სასამართლო წესით დაცვას შეჯიბრე-ბითობის პრინციპზე დაყრდნობით, როდესაც მხარეები სარგებ-ლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასა-ბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეო-რე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები და მტკიცებულებები, მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორო-ბის სანყისებზე (სსსკ მე-2, მე-4, მე-5 მუხლები).

12. სსსკ-ის მიხედვით დადგენილი საოჯახო-სამართლებრი-ვი დავების განხილვის თავისებურებანი (თავი XLIII) სამართალ-წარმოების ინკვიზიციური ელემენტებითაც ხასიათდება. „სა-სამართლო აქტიურად ერთვება მტკიცების პროცესში და შე-უძლია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები თავისი ინი-ციატივითაც დაადგინოს, კერძოდ, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვისას, სსსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით, სასამართლოს შეუძ-ლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოება-თა წრე და, მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ, თვითონ გა-მოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მი-უთითებიათ. კანონის ასეთი დამოკიდებულება განპირობებუ-ლია საოჯახო ურთიერთობათა სპეციფიკითა და განსაკუთრე-ბულობით (იხ. სუსგ №ას-904-944-2011, 18.10.2011). ამ საპრო-ცესო ნორმების გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც სასამართლო კანონით დადგენილი წესით შეატყობინებს და მოიწვევს მხარეებს სასამართლო სხდომა-ზე, ამასთან, სასამართლო უწყება მხარეებს ან მათ წარმომად-გენლებს უნდა ჩაბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ გო-ნიერული ვადა სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის (სსსკ 70-ე მუხლი). ქართული საპრო-ცესო კანონმდებლობა დეტალურად ადგენს სასამართლო უნ-

ყების შინაარსს, რომელიც მოიცავს მხარის გამოცხადების დროსა და ადგილის, განსახილველი საქმის დასახელების, დავის საგნის, დაბარებული პირის სტატუსის, გამოუცხადებლობის შედეგებზე და სხვა გარემოებებზე მითითებას (სსსკ 72-ე მუხლი).

13. საკასაციო სასამართლო მე-11 და მე-12 პუნქტებში მითითებულ გარემოებებზე ამახვილებს ყურადღებას, რათა მართებულად წარმოჩინდეს საქართველოში დადგენილი სამართალწარმოების ძირითადი პრინციპი სასამართლო შეტყობინებისა და დაბარების შესახებ.

14. საკასაციო სასამართლო იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის დასაბუთებას, რომ საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს ეწინააღმდეგება საქმის განხილვა მოპასუხის დაუსწრებლად, ასევე, მოწინააღმდეგის მითითებას სსსკ 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, როგორც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველზე, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით. მოწინააღმდეგე თავის წერილობით მოსაზრებაში ყურადღებას ამახვილებს ასევე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე და კონკრეტულ განჩინებებზე უთითებს (სუსგ № ა-1492-შ-47, 30.06.2014; №ა-1399-შ – 45 – 2014, 07.07.2014; №ა-3667-შ – 97 – 2013).

15. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ საქმის მასალებშია მოწინააღმდეგის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელთა მიხედვით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ბავშვის მამის სარჩელი ბავშვის დედის წინააღმდეგ „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის შესაბამისად, კანადიდან არამართლზომიერად გადაადგილებული მცირეწლოვანი ბავშვის კანადაში დაბრუნების თაობაზე.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლია მე-15 პუნქტში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ არის შესული, ამასთან, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (სსსკ 105-ე მუხლის პირველი ნაწილი), მაგრამ არსებული ფაქტობრივი გარემოებით დასტურდება, რომ ბავშვის მშობელთა შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა. საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული სასამარ-

თლო გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

17. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს მცირეწლოვანი ბავშვის ინტერესებს და, ასევე, ეყრდნობა „ბავშვის უფლებათა საერთაშორისო კონვენციას“, რომლის მიხედვით, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანო – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. საუკეთესო ინტერესების დაცვის ცნება თითოეული ბავშვის მიმართ მოქმედებს და უპირატესია მშობლის ინტერესზე.

18. „ბავშვის უფლებათა“ კონვენციის, საერთაშორისო კერძო სამართლის კანონისა და სსსკ-ის მოხმობილი ნორმების საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც არ აკმაყოფილებს ბავშვის მამის მოთხოვნას კანადის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. გ. ნ-ის შუამდგომლობა კანადის ონტარიოს იუსტიციის სასამართლოს 2015 წლის 27 მარტის გადაწყვეტილების /ბრძანების/ (საქმე № M5B 2C4DFO-15-12803-00 A1) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ბავშვთან ურთიერთობის განსაზღვრა

## განჩინება

№ა-1163-შ-26-2015

2 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბავშვთან ურთიერთობის წესის შეცვლა (სარჩელში) და მეურვეობის შეცვლა (შეგებებულ სარჩელში)

### აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის ... E.K. სასამართლო დოკუმენტით ვ. ს-ი და ა. ქ-ი, მოლაპარაკების გზით, განქორწინდნენ. 2007 წელს დაბადებულ საერთო შვილზე მეურვეობა გადაეცა დედას – ა. ქ-ის მამის – ვ. ს-ის მოთხოვნას, რომ ყოველ შაბათ-კვირას ბავშვი დარჩებოდა მამასთან, დედამ მოსამართლის წინაშე თანხმობა განაცხადა და სიტყვიერ გარანტიაზე დაყრდნობით, იმ პირობით, რომ ყოველ შაბათ-კვირას ბავშვი მამასთან დარჩებოდა მოხდა პიროვნული ურთიერთობის მოგვარება.

ა. ქ-იმ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა მამის – ვ. ს-ის ბავშვთან ურთიერთობის წესის შეცვლა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს. ვ. ს-მა მოითხოვა ბავშვზე მეურვეობის შეცვლა.

თურქეთის რესპუბლიკის ქ. ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინებით: 1. გაუქმდა რეგულირებული პიროვნული ურთიერთობა. მოპასუხე მამას შეუძლია ბავშვი წაიყვანოს თავისთან და დაამყაროს პიროვნული ურთიერთობა ყოველი თვის პირველი და მესამე შაბათი დღეების დილის 09:00 საათიდან კვირა დღის 17:00 საათამდე; რელიგიური დღესასწაულების მეორე დღეს დილის 10:00 საათიდან მესამე დღის საღამოს 17:00 საათამდე; სასწავლო პერიოდის სემესტრული არდადეგების პირველი კვირის შაბათი დღის დილის 09:00 საათიდან მომდევნო პარასკევი დღის 17:50 საათამდე; ასევე, ყოველწლიურად 1 ივნისის დილის 09:00 საათიდან 30 ივნისის საღამოს 17:00 საათამდე; წყვილ წლებში ბავშვის

დაბადების დღეებში დილის 10:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე; წყვილ წლებში 31 დეკემბერს 12:00 საათიდან მომდევნო დღეს 01 იანვარს 12:00 საათამდე; ყოველწლიურად მამის დღეს დილის 10:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე; მხარემ, რომელსაც მიეცა მეურნეობა მეორე მხარეს; ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ საკითხებზე წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია; ბავშვის განათლებასთან დაკავშირებით სემესტრული და სასწავლო წლის დასრულებისას, ბავშვის სწავლის მდგომარეობის შესახებ წერილობითი ფორმით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ნიშნების ფურცლის ასლთან ერთად; წერილობითი ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია ბავშვის საცხოვრებელი მისამართისა და ბავშვთან დასაკავშირებელი ტელეფონის ნომრის შესახებ, რომლითაც სანინაალმდეგო მხარისგან დამოუკიდებლად შეეძლება ბავშვს საუბარი; მხარეებს განემარტათ, რომ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, მეურვეობასთან და პიროვნულ ურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს მეურვეობისა და პიროვნული ურთიერთობის შეცვლა, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე, მეურვეობა და პიროვნული ურთიერთობა განხორციელდება ზომების მიღებით; გადაწყვეტილების განხორციელებაზე ზომების მიღება განხორციელდეს ანკარის მორიგე სააღმსრულებლო სამმართველოს მიერ; გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში თურქეთის სამოქალაქო კოდექსის 353 და თურქეთის სამოქალაქო კოდექსის „მფარველობის, მეურვეობის და მემკვიდრეობის დებულებათა განხორციელების შესახებ“, წესდების მე-4 მუხლის თანახმად; შეხსენებულ იქნას (შეხსენებულ იქნა), რომ მხარეს, რომელსაც გადაეცა მეურვეობა, მოეთხოვოს მცირეწლოვანთა ქონების ამსახველი ინფორმაციის ჟურნალის წარდგენა, ბავშვის ქონების მართვაზე საკმარისი ყურადღების მოუქცევლობის შემთხვევაში, თურქეთის სამოქალაქო კოდექსის 360-ე და 361-ე მუხლებში აღნიშნული ზომების მიღება მოხდება ჩვენი სასამართლოს მიერ, ამ წინადადებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ისე როგორც მოთხოვნილ იქნას ქონების გადაცემა, ასევე შესაძლებელია ბავშვის ქონების მართვა გადაეცეს კურატორს; მოსარჩელე – დაპირისპირებული მოპასუხის მხრიდან ჩარიცხული 50.40 თურქული ლირის 42.70 თურქული ლირის სასამართლო ხარჯი აღებული იქნა მოსარჩელე-დაპირისპირებული მოსარჩელისაგან და გადაეცეს მოსარჩელე-დაპირისპირებულ მოპასუხეს; იმის გამო, რომ მოსარჩელე-დაპირისპირებული მოპასუხე წარმოდგენილი იყო რწმუ-



ნებულის სახით, საადვოკატო მინიმალური ანაზღაურების ტარიფის თანახმად 1 500,00 თურქული ლირის ოდენობის საადვოკატო ანაზღაურება ალებულ იქნა მოპასუხე-დაპირისპირებულ მოსარჩელისაგან და მიეცა მასარჩელე-დაპირისპირებულ მოპასუხეს; ძირითადი სარჩელისა და შესაგებელი სარჩელის მხრივ წინასწარ გადახდილი მოსაკრებლიდან ჩათვლის გამო, ხელახლა მოსაკრებლის აღება საჭიროებას არ წარმოადგენდა. 2. მეურვეობის შეცვლასთან დაკავსირებული შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოპასუხე-დაპირისპირებული მოსარჩელის მიერ განეული სასამართლო ხარჯები დაეკისრა მასვე; იმის გამო, რომ მოსარჩელე-დაპირისპირებული მოპასუხე წარმოდგენილია რწმუნებულის სახით, საადვოკატო მინიმალური ანაზღაურების ტარიფის თანახმად 1 500,00 თურქული ლირის ოდენობის საადვოკატო ანაზღაურება ალებულ იქნა მოპასუხე-დაპირისპირებული მოსარჩელისაგან და მიეცა მოსარჩელე-დაპირისპირებულ მოპასუხეს; მხარეთა მიერ გადახდილი ხარჯების ავანსიდან დარჩენილი ნაწილი განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 333 და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ხარჯების საავანსო ტარიფის მე-5 მუხლის თანახმად დაუბრუნდა მხარეებს.

ვ. ს-ის წარმომადგენელმა ე. ბ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თურქეთის რესპუბლიკის ქ.ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 მაისის განჩინებით ვ. ს-ის წარმომადგენელ ე. ბ-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის ქ.ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, ვ. ს-ის წარმომადგენელ ე. ბ-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის ქ.ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგი გარემოებებს გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყ-

ნების გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის განჩინებით ვ. ს-ის წარმომადგენელ ე. ბ-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის ქ.ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

მონინალმდეგე მხარემ ა. ქ-იმ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომლითაც წარმოდგენილ შუამდგომლობას არ დაეთანხმა იმ საფუძველით, რომ თურქეთის რესპუბლიკის ქ.ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინება არ არის შესული კანონიერ ძალაში და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

2015 წლის 28 ივლისის სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის ავტორს მიეცა ვადა წარმოედგინა ცნობა თურქეთის რესპუბლიკის ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისათვის ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხი, საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი გამოინაკლისების გათვალისწინებით, განიხილება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობის ტექსტიდან არ გამომდინარეობს.

განსახილველ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ვერ წარმოადგინა ცნო-

ბა თურქეთის რესპუბლიკის ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისთვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). დასახელებული ნორმის თანახმად, სასამართლო სარჩელს (კერძო საჩივარს) დატოვებს განუხილველად ან შეწყვეტს საქმის წარმოებას იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვისას გაირკვა, რომ არ არსებობს მისი წარმოებაში მიღების ესა თუ ის პირობა, ამასთან მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი – საქმის წარმოების შეწყვეტა ან საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება გამომდინარეობს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. კანონის დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარე სწორედ კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაშია ვალდებული, განახორციელოს მისთვის დაკისრებული საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ მან დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შუამდგომლობის ავტორს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დაკისრებული საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია, საკასაციო პალატა თვლის, რომ ვ. ს-ის წარმომადგენელ ე. ბ-ის შუამდგომ-

ლობა თურქეთის რესპუბლიკის ქ.ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 71-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. ს-ის წარმომადგენელ ე. ბ-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის ქ.ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**შვილად აყვანა**

**განჩინება**

№ა-1314-შ-33-2015

4 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** შვილება, სახელის და გვარის შეცვლა

**აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის მანჰაიმის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2014 წლის 28 აგვისტოს (საქმე № 7 F 14/14) გადაწყვეტილებით მოხდა შვილება შვილად ასაყვანს – თ. წ-სა და მშვილებელს – ი. ო-ს შორის; ამასთან, დად-

გინდა, რომ შვილად ასაყვანმა – თ. წ-მ მიიღოს გვარი „ე. ო-“, შვილად ასაყვანის სახელი „თ-ო“ შეიცვალოს სახელით „თ-ო“.

თ. წ-მ, წარმომადგენელ თ. ძ-ს მეშვეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით თ. წ-ს შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ თ. წ-ს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ გერმანიის მანჰაიმის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2014 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე № 7 F 14/14) მოხდა შვილება შვილად ასაყვანს – თ. წ-სა და მშვილებელს – ი. ო-ს შორის; ამასთან, დადგინდა, რომ შვილად ასაყვანმა – თ. წ-მ მიიღოს გვარი „ე. ო-ა“, შვილად ასაყვანის სახელი „თ-ო“ შეიცვალოს სახელით „თ-ო“.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის მანჰაიმის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2014 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოხდა შვილება შვილად ასაყვანს – თ. წ-სა და მშვილებელს – ი. ო-ს შორის, ამასთან, დადგინდა, რომ შვილად ასაყვანმა – თ. წ-მ მიიღოს გვარი „ე. ო-ა“, შვილად ასაყვანის სახელი „თ-ო“ შეიცვალოს სახელით „თ-ო“, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნას გერმანიის მანჰაიმის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2014 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე № 7 F 14/14), რომლითაც მოხდა შვილება შვილად ასაყვანს – თ. წ-სა და მშვილებელს – ი. ო-ს შორის, ამასთან, დადგინდა, რომ შვილად ასაყვანმა – თ. წ-მ მიიღოს გვარი „ე. ო-ა“, შვილად ასაყვანის სახელი „თ-ო“ შეიცვალოს სახელით „თ-ო“.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. თ. წ-ს შუამდგომლობა გერმანიის მანჰაიმის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2014 წ. 28 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქმე № 7 F 14/14) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის მანჰაიმის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2014 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე № 7 F 14/14), რომლითაც მოხდა შვილება შვილად ასაყვანს – თ. წ-სა და მშვილებელს – ი. ო-ს შორის, ამასთან, დადგინდა, რომ შვილად ასაყვანმა – თ. წ-მ მიიღოს გვარი „ე. ო-ა“, შვილად ასაყვანის სახელი „თ-ო“ შეიცვალოს სახელით „თ-ო“.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. მემკვიდრეობითი სამართალი

#### განჩინება

№ა-4712-შ-95-2015

29 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),

ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),

პ. ქათამაძე

**მოთხოვნის საგანი:** სამკვიდრო მონაწილის გაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თურქეთის რესპუბლიკის, ხოფის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს 2014 წლის 3 ივლისის №2014/162 გადაწყვეტილებით რ. ა-ას (შემდეგში შუამდგომლობის ავტორი) მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ბ. ა-ას (რეგისტრირებული ქ. ა-ში, ხოფის რაიონი, სოფ. ი-ე, ტომი №33, სახლი №38, თურქეთის რესპუბლიკის პირადი № ..., ჯ-სა და ჩ-ის ვაჟის, დაბ. 19.. წელს) გარდაცვალებით (21.06.20..) ცნობილი იქნა ოთხი სამკვიდრო წილი, რომელთაგან ერთი გადაეცა შუამდგომლობის ავტორს, რ. ა-ას, ბ-ისა და მ-ს ძეს, დაბადებულს 19.. წელს. დანარჩენი წილი შემდეგნაირად განაწილდა: ერთი წილი გადაეცა მ. ა-ას, ჯ-სა და ე-ს ასულს, დაბ. 19..წ; ერთი წილი – ე. ა-ას, ბ-ისა და მ-ის ასულს, დაბ. 19..წ; ერთი წილი – ე. ა-ას, ბ-ისა და მ-ის ასულს, დაბ. 19.. წ.

2. თურქეთის რესპუბლიკის ხოფის სამოქალაქო საქმეთა სასამართლომ, სახელმწიფოში მოქმედი სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 385-ე, 316-ე-322-ე მუხლებით დადგენილი წესით, გამოიყენა გამარტივებული სასამართლო საქმისწარმოება და, იმავე კოდექსის 320-ე მუხლით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება მიიღო მხარეების სასამართლო პროცესზე მოუწვევლად, სარჩელის კვალიფიკაციიდან და სასამართლო განხილვის ვადის გაგრძელების აუცილებლობის არარასებობის გამო.

3. საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2014 წლის 3 ივლისს.

4. წარმოდგენილ შუამდგომლობას ერთვის აპოსტილით დამონებული და სანოტარო წესით დადასტურებული, ქართულ ენაზე ნათარგმნი მინდობილობა, რომლითაც დასტურდება, რომ წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებულმა მემ-

კვიდრეებმა მ. ა-ამ, ე. ა-ამ, ე. ა-ამ (შემდეგში მარნმუნებლები), ბ. ა-ას (შემდეგში მამკვიდრებელი) გარდაცვალებით, სხვა მემკვიდრეებთან ერთად, მათ სახელზე მემკვიდრეობით მიღებული ან მისაღები სატრანსპორტო საშუალების, სანომრე ნიშნით (GE) №..., რომელსაც ყადაღა არ ადევს, საზღვარგარეთ გაყვანისა და უკან შემოყვანასთან დაკავშირებით აუცილებელი ნებართვის მიღების უფლებამოსილება მიანიჭეს რ. ა-ას, მასვე მიანდეს მონობის, წიგნაკის და ყველა სხვა დოკუმენტის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანიზაცია დაწესებულებებიდან და თურქეთის ტურიზმისა და საავტომობილო ორგანიზაციიდან მიღება, ყველა აუცილებელი მოქმედების შესრულება საბაჟოებზე, საკონსულოებში, ხელისმოწერა დოკუმენტებზე, შესვლა-გამოსვლის, გადაჯდომის და დროებითი შესვლა-გამოსვლის ოპერაციების შესრულება, სატრანსპორტო საშუალების მემკვიდრეობით მიღების რეგისტრაცია: როგორც მარნმუნებელთა წარმომადგენელმა მიიღოს, დაარეგისტრიროს მათი მამკვიდრებლის გარდაცვალებით სხვა მემკვიდრეებთან ერთად მემკვიდრეობით მიღებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება შუამდგომლობის ავტორისათვის სასურველ საგზაო მოძრაობის განყოფილებებსა თუ ბიუროებში და შესაბამის ორგანოებში, გააცემინოს, ჩაიბაროს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის, საგზაო მოძრაობისა და დროებითი საგზაო ცნობები და განახორციელოს სხვა უფლებამოსილებანი, რაც დეტალურად არის მითითებული შუამდგომლობაზე დართულ მინდობილობებში.

5. შუამდგომლობის ავტორმა 2015 წლის 10 დეკემბერს მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა, ამასთან აღნიშნა, რომ გადანყვეტილება აღსრულებულია თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

6. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინებით განსახილველად მიიღო შუამდგომლობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ რ. ა-ას შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის, ხოფის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს 2014 წლის 3 ივლისის №2014/162 გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ სა-



ფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

7. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ სამკვიდრო მონაწილის გაცემა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით არასადავო სასამართლო საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება და როგორც ეს შუამდგომლობაზე თანდართულ საქართველოს ტერიტორიაზე საცნობ გადანყვეტილებაშია მითითებული, მხარეთა მონვევის გარეშეა განხილული (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი).

8. შუამდგომლობაზე დართული მინდობილობებით (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი) დადასტურებულია სხვა მემკვიდრეთა ნება, რომელიც უკავშირდება მემკვიდრეობით მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საკუთარებაში მიღებასა და განკარგვას, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიაზე საცნობ უცხო ქვეყნის გადანყვეტილებასთან.

9. თურქეთის რესპუბლიკის, ხოფის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს 2014 წლის 3 ივლისის №2014/162 გადანყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და აღსრულებულია თურქეთის ტერიტორიაზე (იხ. ამ განჩინების მე-3 და მე-5 პუნქტები).

10. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადანყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

11. ამ განჩინების მე-10 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადანყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები, საქმის მასალების მიხედვით, არ არის წარმოდგენილი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება უცხო ქვეყნის გადანყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. რ. ა-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს თურქეთის რესპუბლიკის, ხოფის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს 2014 წლის 3 ივლისის №2014/162 გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. ა-ას (რეგისტრირებული ქ. ა-ში, ხოფის რაიონი, სოფ. ი-ე, ტომი №33, სახლი №38, თურქეთის რესპუბლიკის პირადი №..., ჯ-სა და ჩ-ის ვაჟის, დაბ 19.. წელს) გარდაცვალებით (21.06.20..) ცნობილი იქნა ოთხი სამკვიდრო წილი, რომელთაგან ერთი გადაეცა რ. ა-ას, ბ-ისა და მ-ს ძეს, დაბადებულს 19.. წელს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. სამოქალაქო პროცესი

### ბანჩინება

№ა-4332-შ-90-2015

8 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეცი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქუა

**დავის საგანი:** სასამართლო ხარჯების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის დრეზდენის მიწის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით გაუქმდა დრეზდენის მიწის სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის განაჩენი და ი. გ-ეს უარი ეთქვა სარჩელზე. მოსარჩელეს დაეკისრა ორივე ინსტანციის სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება. ამასთან, განისაზღვრა რომ, განაჩენი საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

1.2. გერმანიის დრეზდენის მიწის სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის განჩინებით კი, 2013 წლის 10 ოქტომბრის დრეზდენის მიწის უზენაესი სასამართლოს დროებით აღსასრულებელი განაჩენის საფუძველზე, ი. გ-ის მიერ მოპასუხე მხარისათვის ასანაზღაურებელი ხარჯი განისაზღვრა 2 787.60 ევროთი.

2. შპს „R-მა“ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის დრეზდენის მიწის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის განაჩენისა და დრეზდენის მიწის სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განჩინებით შპს „R-ის“ შუამდგომლობა გერმანიის დრეზდენის მიწის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველად მხარის იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო, ხოლო გერმანიის დრეზდენის მიწის სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნის ნაწილში მიღე-

ბულ იქნა წარმოებაში. შუამდგომლობა და თანდართული მასალები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარეს.

4. საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ი. გ-ემ, წარმოადგინა შუამდგომლობის ავტორთან ელექტრონული მიმონერის ასლები, ასევე, სს „თ-ის“ მიერ დამოწმებული საგადახდო დავალების ასლი და განმარტა, რომ შუამდგომლობის ავტორთა შეთანხმებით მან უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება შეასრულა. ეს გარემოება დაადასტურა შპს „R-მაც“ (იხ. სასამართლო მოხელის შესაბამისი აქტი, რომლის თანახმადაც, შპს „R-ის“ წარმომადგენელი ადასტურებს შპს-ის დირექტორის მხრიდან ვალდებულების შესრულების ფაქტს).

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შპს „R-ის“ შუამდგომლობაზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განჩინებით შპს „ლ-ის“ შუამდგომლობა გერმანიის დრეზდენის მიწის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველად მხარის იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო, ხოლო გერმანიის დრეზდენის მიწის სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნის ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში. უცხო ქვეყნის სასამართლოს მითითებული განჩინებით, სასამართლო ხარჯის სახით მოწინააღმდეგე მხარის ვალდებულება განსაზღვრულია 2 787.60 ევროთი.

2. საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 25 იანვრის განჩინება საქმის მასალებთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდა ი. გ-ეს, რომლის პასუხადაც ადრესატმა წარმოადგინა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება – საგადახდო დავალება 2 787,60 ევროს ჩარიცხვის თაობაზე იმ საბანკო რეკვიზიტებზე, რაც ასახულია შპს „R-ის“ წარმომადგენლის მიერ ი.გ-ისათვის მიწოდებულ ანგარიშზე, გარდა აღნიშნულისა, ვალდებულების შესრულებას ადასტურებს სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ შედგენილი სატელეფონო შეტყობინების

აქტი (სადაც შპს „R-ის“ წარმომადგენელი ადასტურებს საწარმოს დირექტორის მიერ თანხის მიღების ფაქტს და მოითხოვს საკასაციო სასამართლოს მიერ ი. გ-ის განცხადების განხილვას).

3. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების საკითხის მარეგულირებელ ნორმებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, რომლის 386-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ საქმის მასალების შესწავლით დასტურდება ი. გ-ის მიერ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულების შესრულება. ამავე კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად კი, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება).

4. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68.5 და 70.3 მუხლების თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა აღსრულების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. ამდენად, კრედიტორის სასარგებლოდ შესრულების გზით ვალდებულების შეწყვეტის პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასებისას საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით.

5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა1“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არ არსებობს დავის საგანი. ამავე კოდექსის 209-ე მუხლის თანახმად კი, 272-ე და 275-ე მუხლების შესაბამისი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განსახილველად მომზადების დროს საქმის წარმოება მოსამართლემ შეიძლება შეწყვიტოს ან სარჩელი (განცხადება) განუხილველად დატოვოს, რის შესახებაც მას გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

6. მითითებული ნორმებისა და განჩინების სამოტივაციო ნაწილში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ სწორედ დავის საგნის არარსებობის გამო უნდა შეწყდეს წარმოება შპს „R-ის“ შუამდგომლობაზე ი. გ-ის მიმართ, გერმანიის დრეზდენის მიწის სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე, 272-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შეწყდეს წარმოება შპს „R-ის“ შუამდგომლობაზე ი. გ-ის მიმართ, გერმანიის დრეზდენის მიწის სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დავის საგნის არარსებობის გამო.

2. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სამოქალაქო პროცესი**

#### **განჩინება**

№ა-2574-შ-54-2015

17 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** სახელმწიფო ბაჟის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ქ. მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით ა. კ-ს ძე ქ-ს ჩამოერთვა მშობლის

უფლება შვილის კ-ს მიმართ (დაბ. 06.05.1999) და ამავე გადან-  
ყვეტილებით მასვე დაეკირა სახელმწიფო ბაჟის გადახდა  
540000 (ხუთას ორმოცი ათასი) რუბლის ოდენობით.

2. სასამართლოს სხდომის თაობაზე მოპასუხე ა. ქ-ა გაფ-  
რთხილებული იყო სათანადო წესით.

3. ქ. მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2015 წლის 24  
მარტის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია 2015 წლის 6 აპრი-  
ლიდან და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ბელორუსი-  
ის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

4. 2015 წლის 6 ივლისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს  
შუამდგომლობით მომართა ქ. მინსკის საქარხნო რაიონის სასა-  
მართლომ და მოითხოვა საქართველოს ტერიტორიაზე ბელო-  
რუსიის ქ. მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2015 წლის  
24 მარტის გადაწყვეტილების ცნობა სახელმწიფო ბაჟის დაკის-  
რების ნაწილში და აღსრულება.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის განჩინებით ქ. მინსკის  
საქარხნო რაიონის სასამართლოს შუამდგომლობა საქართვე-  
ლოს ტერიტორიაზე ბელორუსიის ქ. მინსკის საქარხნო რაიონის  
სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილების (სახელ-  
მწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში) ცნობისა და აღსრულების  
შესახებ წარმოებაში იქნა მიღებული.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის განჩინების ასლი და ქ.  
მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს შუამდგომლობა თან-  
დართულ დოკუმენტებთან ერთად რამოდენიმეჯერ გაეგზავ-  
ნა ამ-ნ ქო-ას საქმეში არსებულ მისამართზე, მაგრამ ვერ ჩა-  
ბარდა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით ა. ქ-ს სა-  
ქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-  
ლატის 2015 წლის 14 ივლისის განჩინებისა და ბელორუსიის ქ.  
მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს შუამდგომლობის თა-  
ობაზე ეცნობა საჯარო შეტყობინების გზით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თან-  
დართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა  
დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

10. სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე ბელორუსიის ქ. მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილების (სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში) ცნობა და აღსრულება.

11. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

12. ქ. მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე ბელორუსიის ქ. მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილების (სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში) ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

13. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ბელორუსიის ქ. მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილების ნაწილი, რომლის შესაბამისადაც ამინ კო-ს ძე ქო-ას, მცხ. საქართველოში, 2114 ზუ-ი, სოფ. და-ი, ბელორუსის რესპუბლიკის სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა 540000 (ხუთას ორმოცი ათასი) რუბლის გადახდა და მოხდეს მისი აღსრულება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



# სამოქალაქო პროცესი

## განჩინება

№ა-4086-შ-84-2015

15 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** სახელმწიფო ბაჟის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსეთის ფედერაციის უდმურტიის რესპუბლიკის ბალეზინსკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით ტ. კ-ს ჩამოერთვა მშობლის უფლება არასრულწლოვანი შვილის ი. კ-ს მიმართ (დაბ. 30.10.2001წ) და დაეკისრა აღიშენების გადახდა. ამავდროულად გადაწყვეტილებით ტ. კ-ს დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 450 რუბლის ოდენობით.

2. ტ. კ-ს სათანადო წესით ეცნობა საქმის სასამართლოს სხდომის გამართვის ადგილისა და თარიღის შესახებ.

3. რუსეთის ფედერაციის უდმურტიის რესპუბლიკის ბალეზინსკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 11 აგვისტოს და მისი აღსრულება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ მომხდარა.

4. რუსეთის ფედერაციის უდმურტიის რესპუბლიკის ბალეზინსკის რაიონულმა სასამართლომ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის უდმურტიის რესპუბლიკის ბალეზინსკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების ცნობა სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და აღსრულება.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინებით წარმოდგენილი შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინების ასლი და რუ-

სეთის ფედერაციის უდმურტიის რესპუბლიკის ბალეზინსკის რაიონული სასამართლოს შუამდგომლობა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გაეგზავნა ტ. კ-ს საქმეში არსებულ მისამართზე და ჩაბარდა 2015 წლის 19 ნოემბერს.

**სამოტივაციო ნაწილი:**

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

8. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

9. სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის უდმურტიის რესპუბლიკის ბალეზინსკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების (სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში) ცნობა და აღსრულება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

10. რუსეთის ფედერაციის უდმურტიის რესპუბლიკის ბალეზინსკის რაიონული სასამართლოს შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის უდმურტიის რესპუბლიკის ბალეზინსკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის (სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში) ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

11. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის უდმურტიის რესპუბლიკის ბალეზინსკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების ნაწილი, რომლის შესაბამისადაც ტ. კ-ს რუსეთის ფედერაციის უდმურტიის რესპუბლიკის ბალეზინსკის რაიონის ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 450 (ოთხას ორმოცდაათი) რუბლის გადახდა და მოხდეს მისი აღსრულება.

12. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია

### ბანჩინება

№ა-2135-შ-46-2015

26 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების –  
შპს „ა-ისა“ და შპს ს-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასა-  
მართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე №...) სასარჩელო მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

1) შპს „ა-სა“ და შპს ს-ას“ (ს/კ ...) შპს „ბ-ის“ სასარგებლოდ (ს/  
კ ...) დაეკისრათ ძირითადი ვალის საერთო თანხის 10% (მათ შო-  
რის, საურავი და წლიური 3%) 22784,07 აშშ დოლარის გადახდა;

2) შპს „ს-ას“ შპს „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2010 წლის  
19 მაისის №33/2010 კონტრაქტით 185038 აშშ დოლარისა და 29  
ცენტის ძირითადი ვალის, 14116 აშშ დოლარისა და 47 ცენტის  
საურავის, წლიური 3%-ის – 5901 აშშ დოლარისა და 89 ცენტის  
გადახდა;

3) შპს „ა-სა“ და შპს ს-ას“ შპს „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა  
სასამართლო მოსაკრებელის – 35998,83 გრივნის გადახდა. და-  
ნარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

შპს „ბ-ის“ წარმომადგენელმა გ. უ.-მა შუამდგომლობით მო-  
მართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკ-  
რაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამარ-  
თლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს  
ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება შპს ს-ისათვის“ 185038  
აშშ დოლარისა და 29 ცენტის, 14116 აშშ დოლარისა და 47 ცენ-  
ტის, აგრეთვე, 5901 აშშ დოლარისა და 89 ცენტის დაკისრების  
ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2015 წლის 30 ივლისის განჩინებით შპს „ხ-ის“ წარმომადგენელ გ. უ-ის შუამდგომლობა უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

მონინაალმდეგე მხარის შპს „ს-ის“ გენერალური დირექტორი ი. მ-ი არ დაეთანხმა წარმოდგენილ შუამდგომლობას და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

შუამდგომლობის ავტორის მოსაზრებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ უნდა ცნოს და აღასრულოს ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

შპს „ს-ის“ გენერალურმა დირექტორმა ი. მ-მა მიუთითა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, 70-ე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტებზე, 71-ე მუხლის მე-2 პუნქტზე და 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სწორედ აღნიშნული საფუძვლის არსებობის გამო, არ უნდა მოხდეს ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება საქართველოში.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავი განსაზღვრავს საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევებს. მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა და მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნა შპს „ხ-სა“ და შპს „ს-ას“ შორის 2010 წლის 19 მაისს დადებული №.. ნარდობის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც შპს „ხ-მა“, როგორც შემსრულებელმა, აიღო ვალდებულება, რომ უზრუნველყოფდა თბილსრესის №4 ენერგობლოკის ტურბოგენერატორის TBB-165 კაპიტალურად გარემონტებას ქ.გარდაბანში, საქართველო (იხ.ხელშეკრულების 2.1 პუნქტი), ასევე მოსარჩელემ სამუშაოების შესასრულებლად აიღო ვალდებულება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოათავსებდა მალალას და სათადარიგო ნაწილებს ტურბოგენერატორისათვის TBB-165-№4 სადგურის შესაბამისი ნუსხის თანახმად.

შპს „ს-ის“ გენერალური დირექტორი ი. მ-ი აღნიშნავს, რომ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველო იყო, შესაბამისად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, აღნიშნულ დავაზე სწორედ საქართველოს სასამართლოს გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია.

შუამდგომლობის ავტორი მიიჩნევს, რომ სახელშეკრულებო დავების განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის დროს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტი ფაქტობრივად იმეორებს განსჯადობის იმ პრინციპს, რომელიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

შპს „ს-ის“ გენერალური დირექტორი ი. მ-ის მითითებით, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით, მხარეებმა, როცა გამოხატეს თავიანთი ნება განსჯადი სასამართლოს თაობაზე, ნათლად განსაზღვრეს, რომ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის შეთანხმების გზით მოუგვარებლობის შემთხვევაში, დავას გადაწყვეტდა სასამართლო მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, მოპასუხის ადგილსამყოფელი ქვეყნის მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში კი, მოპასუხეს წარმოადგენდა შპს „ს-ა“, შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სწორედ, საქართველოს სასამართლოს უნდა განეხილა სადავო საკითხი.

შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს, რომ მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ შპს „ს-ასთან“ ერთად სარჩელი წარდგენილ იქნა შპს „ა-ტ-ს“ – უკრაინული სამენარმეო საზოგადოების წინააღმდეგაც, რომელიც, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ირკვევა, თითქოს წარმოადგენდა შპს „ს-ის“ თავმდებს შპს „ხ-თან“ .. წლის .. მათთვის დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. შპს „ს-ის“ გენერალურ დირექტორ ი. მ-ის განმარტებით, აღნიშნული კომპანიის შესახებ მათთვის არაფერი იყო ცნობილი, შპს „ს-ას“ შპს „ა-თან“ რაიმე ურთიერთობა არ გააჩნდა. შუამდგომლობის ავტორს მიაჩნია, რომ მოსარჩელის

მიერ უკრაინული საწარმოს ამ პროცესში თავდების სახით ჩართვა განხორციელდა ხელოვნურად, მხოლოდ ერთი მიზნით, გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია წარმოშობოდათ.

შპს „ს-ის“ გენერალურ დირექტორ ი. მ-ს მიაჩნია, რომ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია ამით მაინც არ იცვლება, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, შპს „ს-ის“ მიმართ განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად მთავარია ძირითადი – ნარდობის ხელშეკრულების შესრულების ადგილი განსაზღვრა და ასეთი ადგილი სწორედ საქართველოა.

შუამდგომლობის ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ შპს „ს-ამ“ 2014 წლის 21 ივლისს №.. ნერილით, შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს იმ მოთხოვნით, რომ მის მიერ ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით არ მომხდარიყო უკრაინული კომპანიის სასარგებლოდ ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს მიერ გამოტანილი 2013 წლის 6 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, თუმცა შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგანაც უზენაესი სასამართლოს მიერ 2014 წლის 28 ივლისის №ა-2435-14 ნერილით განემარტათ, რომ იმ პერიოდისთვის შპს „ხ-ის“ მიერ არ მომხდარა სასამართლოსათვის შესაბამისი შუამდგომლობით მომართვა სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნით, ხოლო ამგვარი განხორციელების შედეგად, შპს „ს-ას“, როგორც მონინალმდებვე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია მიენოდებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შპს „ს-ის“ გენერალურმა დირექტორმა ი. მ-მა მოითხოვა შპს „ხ-ის“ წარმომადგენელ გ. უ-ის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 3-ე ნაწილის საფუძველზე, დანიშნა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით. საქმეზე ორივე მხარის მონაწილეობით ზეპირი მოსმენა გაიმართა 2015 წლის 21 ოქტომბერს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ შპს „ხ-ის“ წარმომადგენელ გ. უ-ის შუამდგომლო-

ბა უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

1) შპს „ა-სა“ და შპს „ს-ას“ შპს „ხ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრათ ძირითადი ვალის საერთო თანხის 10% (მათ შორის, საურავი და წლიური 3%) 22784,07 აშშ დოლარის გადახდა;

2) შპს ს-ას“ შპს „ხ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2010 წლის 19 მაისის №.. კონტრაქტით 185038 აშშ დოლარისა და 29 ცენტის ძირითადი ვალის, 14116 აშშ დოლარისა და 47 ცენტის საურავის, წლიური 3%-ის – 5901 აშშ დოლარისა და 89 ცენტის გადახდა;

3) შპს „ა-სა“ და შპს „ს-ას“ შპს „ხ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო მოსაკრებელის – 35998,83 გრივნის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ მონინალმდევე მხარე სათანადო წესით ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, ასევე წარმოდგენილია ცნობა, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 23 აგვისტოს და უკრაინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

შპს „ს-ის“ შუამდგომლობა (შესაგებელი) უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ ეფუძნება ორ საფუძველს: 1) „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, აღნიშნულ დავაზე მხოლოდ საქართველოს სასამართლოს გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია. 2) შპს „ს-ას“ შპს „ა-თან“ რაიმე ურთიერთობა არ გააჩნდა. მოსარჩელის მიერ უკრაინული საწარმოს ამ პროცესში თავდების სახით ჩართვა განხორციელდა ხელოვნურად, მხოლოდ ერთი მიზნით – გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია მინიჭებოდათ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ დავასთან მიმართებით საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო



კომპეტენციის დადგენა არის სამართლისა და არა ფაქტის საკითხი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა ნების ავტონომია საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვან პრაქტიკულ როლს ასრულებს როგორ კოლიზიურ, ასევე, საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ კონტექსტშიც. საპროცესო სამართალში მხარეთა ნების ავტონომიის საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასურველი სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/საერთაშორისო კომპეტენციაზე შეთანხმების შესაძლებლობა. შეთანხმება სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/კომპეტენციაზე წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელ და თვითმყოფად ხელშეკრულებას, რომლის ნამდვილობა და ძალაში შესვლა წესრიგდება მატერიალური სამართლით, ხოლო მისი დასაშვებობა/ფორმა და სამართლებრივი შედეგები კი, განისაზღვრება შესაბამისი საპროცესო სამართლით. საქართველოს სინამდვილეში ფორმის საკითხი წყდება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლით, ხოლო ნამდვილობა და ძალაში შესვლაზე გამოსაყენებელი სამართალი კი, განისაზღვრება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, სწორად განიმარტოს მხარეთა შორის 2010 წლის 19 მაისს დადებული №33/2010 წლის ხელშეკრულების 12.2-ე მუხლი, კერძოდ, „იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ საქმე ექვემდებარება (საერთო სასამართლოების დაქვემდებარების გარდა) შესაბამის სასამართლოში გადაცემას მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით შესაბამისი სასამართლოს რეგლამენტის, მოპასუხის ქვეყნის მატერიალური და პროცესუალური სამართლის შესაბამისად“.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მხარეთა შორის .. წლის .. მაისს დადებული №.. წლის ხელშეკრულების 12.2-ე მუხლის ცალკეული გამონათქვამის, კერძოდ, საერთო სასამართლოების დაქვემდებარების გარდა, ბუნდოვნებასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ ხელშეკრულებათა განმარტების თავისებურება განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, საეჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალი-

ბებულის პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, ინვესტს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც ინვესტს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამოვლენს პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამოვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამოვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება.

ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება, მაგრამ, თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი. სავალდებულოა და გამოიყენება ყველას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნველყოფას, გარიგების (ხელშეკრულების) განმარტების მიზანი უფრო ვიწროა – გარიგების (ხელშეკრულების) მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევა. ამიტომ ასეთ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაწილეებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს

გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ.

ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

„ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტება“ და „ხელშეკრულების შევსებითი განმარტება“ განსხვავებული ცნებებია. სხვადასხვანაირი, ორაზროვანი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დაზუსტების აუცილებლობას ადგილი აქვს, როდესაც მხარეები ხელშეკრულების გამონათქვამების მიღმა არსებულ მნიშვნელობებზე დავობენ. ხოლო ხელშეკრულების შევსებით განმარტებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხარეებს ხელშეკრულების ტექსტში გამორჩენილი აქვთ ცალკეულ საკითხთა მონესრიგება ან ხელშეკრულების პირობები გარკვეული ხარვეზებითაა მოცემული.

ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება საჭიროებდეს, როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე, მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარეებს .. წლის .. მაისს დადებული ხელშეკრულების 12.2-ე მუხლით არ განუსაზღვრავთ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა არ-

ბიტრაჟის მიერ, ამიტომაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა ექვემდებარება განსახილველად საერთო სასამართლოებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსჯადობაში/კომპეტენციაში იგულისხმება სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების გამოყენების ფარგლები. მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი პროცესუალური ნორმების საფუძველზე განსჯადობის დადგენის შემდეგ ხდება საერთაშორისო განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა.

ქვეყნის შიგნით სასამართლო სისტემა თავად განსაზღვრავს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის ფარგლებს. არ არსებობს ეროვნული სამართლის მიერ წინასწარ დადგენილი რაიმე წესი საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ. თითოეული ქვეყნის სასამართლო თავად წყვეტს საერთაშორისო კომპეტენციის საკითხს და მას განიხილავს იმ ჩარჩოებში, რომელ ჩარჩოშიც ის მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავის განხილვა მის კომპეტენციაში შედის.

სახელმწიფოების ნაციონალურ სასამართლოთა საერთაშორისო კომპეტენციის საკითხები, როგორც წესი, რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით ანდა სპეციალური კანონებით „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. საქართველოს კანონში „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის საკითხებს დათმობილი აქვს მთელი მე-2 თავი, რომელიც მოიცავს 13 მუხლს (მე-8 - მე-20 მუხლები).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი იცნობს საერთაშორისო კომპეტენციის რამდენიმე სახეს. დოქტრინა ერთმანეთისაგან განასხვავებს პირდაპირ და ირიბ, საერთაშორისო და ადგილობრივ, საერთო და განსაკუთრებულ, ფაკულტატურ და გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციის სახეებს. (უფრო დანერვილებით იხილეთ: ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, 2006; ბაკურ ლილუაშვილი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, 2010; ლევან გოთუა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, 2010; Svanadze, G. Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine rechtsvergleichende Analyse, 2014; Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 6. Aufl., 2014).

საერთაშორისო კომპეტენციის ცნება იცნობს ისეთ სახეებს, როგორიცაა საერთო და განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

საერთო საერთაშორისო კომპეტენცია კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში დაკავშირებულია მოპასუხის საცხოვრებელ ადგილთან (ადგილმდებარეობასთან („*actor sequitur forum rei*“)). ანალოგიურ მიდგომას ავითარებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-8 და მე-9 მუხლები, კერძოდ, კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, „საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“.

კანონის მე-9 მუხლი კი, ითვალისწინებს საერთო საერთაშორისო კომპეტენციის ცალკეულ შემთხვევებს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც საქართველოს სასამართლოებს ენიჭებათ საერთაშორისო კომპეტენცია. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ: ა) მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს; ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა; გ) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა; დ) დავა ეხება იმ საწარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენციაც საქართველოშია; ე) მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია; ვ) სარჩელის საგანია სამემკვიდრეო უფლების დადგენა, სამკვიდრო ქონების გაყოფა და მემკვიდრეების გარდაცვალებისას საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამკვიდრო ქონება საქართველოში ჰქონდა.

საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრაში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის) პრინციპის გამოყენება მეტად პრაქტიკულია და მომგებიან პირობებს უქმნის პროცესის ორივე მხარეს. მოპასუხეს თავის საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში გაუადვილდება თავის დაცვა, მაშინ, როცა მოსარჩელისათვის გაცილებით ადვილია პროცესის მოგების შემთხვევაში, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში მოითხოვოს მისი ქონების დაყადაღება და იძულებითი აღსრულება.

საკასაციო პალატა საერთაშორისო კომპეტენციასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციაზეც. განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია („*specific contracts*“), ძირითადად გამოიყენება ცალკეული სახის სამოქალაქო სამართლებრივი დავების მიმართ.

განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის ცალკეულ შემთხვევებს ითვალისწინებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი. აღნიშნული მუხლის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება: ა) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია; ბ) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადანყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია; გ) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას; დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა; ე) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა.

კანონის მიერ გამოძიებას საერთაშორისო კომპეტენციის დაწესება გამოიწვევს მათ მიმართ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით კომპეტენციის შეცვლის შესაძლებლობას.

გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენცია ეფექტურად გამოიყენება უცხო ქვეყნის გადანყვეტილების აღსრულებისას, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის კანონმდებლობა კონკრეტულ სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ ადგენს გამოძიებას საერთაშორისო კომპეტენციას, სასამართლოს უფლება აქვს, ამ მოტივით უარი განაცხადოს გადანყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე.

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრისას ხშირად წარმოიშევა პრობლემა ე.წ. „კონკურირებადი“ საერთაშორისო იურისდიქციის შესახებ“. ეს იმ დროს ხდება, როდესაც მოდავე მხარეებს კანონმდებლობით ენიჭებათ უფლება, რამდენიმე შესაძლო სახელმწიფო იურისდიქციიდან, თავად ამოირჩიონ ყველაზე უფრო მომგებიანი ქვეყნის იურისდიქცია. ამ მხრივ საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში განასხვავებენ ორი სახის კონკურირებად საერთაშორისო იურისდიქციას. მათ დოქტრინაში ხშირად კომპეტენციურ კონფლიქტსაც უწოდებენ, ესენია:

ა) პოზიტიური კომპეტენციური კონფლიქტი, რომლის დროსაც ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის სასამართლოა კომპეტენტური, განიხილოს ესა თუ ის სამართლებრივი დავა.

ბ) ნეგატიური კომპეტენციური კონფლიქტი, რომლის დროსაც გამოირიცხება რომელიმე სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის გამოყენება კერძო სამართლებრივ დავაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოებს მინიჭებული აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, მოსარჩელე მხარეს უფლება აქვს, აირჩიოს თავისთვის უფრო მომგებიანი ქვეყნის იურისდიქცია, კონკურირებად საერთაშორისო იურისდიქციებს შორის.

პოზიტიური კომპეტენტური კონფლიქტის ყველაზე ცნობილ ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული ე.წ. „ფორუმ შოპინგი“. საერთაშორისო სამოქალაქო დავის მხარეებს, რასაკვირველია, დავის მოგება სურთ. მოსარჩელე მხარე ცდილობს, ისე წარმართოს პროცესი, რომ მისი სარჩელი დაკმაყოფილდეს. ამისათვის, პირველ რიგში, მან დავა იმ ქვეყნის იურისდიქციას უნდა დაუქვემდებაროს, რომელშიც გამარჯვების მეტი შანსი ექნება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო ელემენტის შემცველ დავებთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოები საკუთარი კომპეტენციის დადგენისას ხელმძღვანელობენ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებებით (თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომლის ხელშემკვრელი მხარეც არის საქართველო, სხვა რამეს არ ითვალისწინებს).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქართველოს სასამართლოები განიხილვენ სამოქალაქო საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები. ასეთ საქმეებთან მიმართებით საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მაშინ, თუ მოპასუხის რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია. ასეთ საქმეებთან მიმართებით საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მაშინაც, თუ მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაშიც, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ადგილი საქართველოა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებს მოცემულ საქმეზე გააჩნდათ საერთაშორისო კომპეტენცია, თუმცა ვერ გაიზიარებს მონინალმდევე მხარის – შპს ს-ის“ წარმომადგენლის მოსაზრებას, რომ დავის განმხილველი ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოსაც არ გააჩნდა ამ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს სასამართლოს მოცემულ დავაზე გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია შემდეგ გარემოებათა გამო: „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით (ასევე, გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-6- მუხლი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების (ძალაშია 1996 წლის 6 დეკემბრიდან) 21-ე მუხლის თანახმად, „თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სასამართლოები კომპეტენტური არიან, განიხილონ სამოქალაქო საქმეები, თუ მოპასუხეს მათ ტერიტორიაზე გააჩნია საცხოვრებელი ადგილი. იურიდიულ პირთა მიმართ წარდგენილ სარჩელებზე ისინი კომპეტენტურნი არიან, თუ მოცემული მხარის ტერიტორიაზე არის იურიდიულ პირთა მმართველობის ორგანო, წარმომადგენლობა ან ფილიალი.

ამავე ხელშეკრულების 40-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ცნობენ და აღასრულებენ იუსტიციის დაწესებულებების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საქმეებზე, ხოლო 42-ე მუხლის თანახმად კი, აღსრულების წესი რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს აღსრულება.

სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის (ე.წ. „მინსკის კონვენცია) მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე მოპასუხე, რომელთა საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი) მდებარეობს სხვადასხვა ხელშემკერველი მხა-



რეების ტერიტორიაზე, დავა განიხილება ნებისმიერი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის მიხედვით) მოსარჩელის არჩევით. საკუთრების უფლებასთან ან სხვა საწინივით უფლებებთან დაკავშირებულ სარჩელზე კომპეტენტური არიან მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოები ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეში მონაწილე ორი მოპასუხის წინააღმდეგ, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს მოცემულ დავაზე გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია.

შპს „ს-ის“ მეორე არგუმენტთან დაკავშირებით, რომ მას შპს „ა-თან“ არანაირი ურთიერთობა არ გააჩნდა და მოსარჩელის მიერ უკრაინული საწარმოს ამ პროცესში თავდების სახით ჩართვა განხორციელდა ხელოვნურად, მხოლოდ ერთი მიზნით – გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს გასჩენოდათ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთაშორისო სამართლებრივ ბრუნვაში მრავალი ქვეყანა მისდევს revizion au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას.

საქმეში არსებული მასალების მიხედვით დასტურდება, რომ შპს „ს-ას“ სასამართლო უწყება და გზავნილი კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა, საქმის განხილვისას კანონით დადგენილი წესით ინფორმირებული იყო, აგრეთვე საქმეში მეორე მოპასუხის არსებობის თაობაზე, რის შესახებაც არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს. უფრო მეტიც, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არ გაუსაჩივრებია გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით და არც კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მოუთხოვია საქმის წარმოების განახლება, ამიტომაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შპს „ს-ის“ მოსაზრებას, რომ მოსარჩელის მიერ უკრაინული საწარმოს ამ პროცესში თავდების სახით ჩართვა განხორციელდა ხელოვნურად, მხოლოდ ერთი მიზნით – გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს გასჩენოდათ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკა-

ნასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს.

საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოვებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები. ცნობის ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები ჩამოთვლილია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლში.

ამის საპირისპიროდ, შესაბამისი უცხოური აქტის აღსასრულებლად გამოცხადება წარმოადგენს მისთვის მოქმედების უფლების მინიჭებას. ეს იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ თავისთავად ცნობას ნაკლებად მოაქვს მოვალისათვის უშუალო სამართლებრივი შედეგები. პირიქითაა აღსრულებადად გამოცხადების შემთხვევაში, რომელსაც ესაჭიროება ე.წ. სააღსრულებო – ექსეკუტორული (execuatur) პროცესი.

ცნობილია, რომ რომელიმე ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე, ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოქმედებდეს სხვა ქვეყანაში, თუ ამ უკანასკნელმა ის სცნო. მოახდინოს თუ არა სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს გადაწყვეტილების ცნობა, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, ამასთან გადაწყვეტილების ცნობის დროს, ის არ უნდა შეიჭრას უცხო ქვეყნის სასამართლო კომპეტენციაში.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, პირველ რიგში ემსახურება სამოქალაქო ბრუნვისა და მართლმსაჯულების საქმიანობის გამარტივებას. მოდავე მხარისათვის მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ ერთი ქვეყნის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ამონუროს ყველა ის სადავო საკითხი, რომ-

ლითაც ის მოპასუხეს ედაცება. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვა იმდენად რთულია, რომ ხშირად სცილდება არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ქვეყნის ფარგლებს. ამიტომ, ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებაც აღსრულებას რამდენიმე ქვეყანაში მოითხოვს. შესაბამისად, თუ რომელიმე უცხო ქვეყანა უარს იტყვის ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულებაზე, მოდავე მხარე იძულებული იქნება, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეიტანოს სარჩელი ამ ქვეყნის სასამართლოში, რაც დამატების დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

ევროპული დოქტრინის მიხედვით, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაწყვეტილება წყვეტს კერძო სამართლებრივ დავას. ამასთან, აღნიშნული დავა გადაწყვეტილი უნდა იყოს ისეთ სასამართლო პროცესზე, რომელზედაც პროცესის მხარეებს თანაბრად ჰქონდათ მინიჭებული უფლებები, დაეცვათ, თავიანთი ინტერესები.

ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადაწყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი, სხვადასხვაა. შესაძლებელია გადაწყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონი ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების (ძალაშია 1996 წლის 6 დეკემბრიდან) 43-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე ან აღსრულების ნებართვაზე შეიძლება უარი ითქვას: თუ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს ან მოპასუხეს არ მიუღია მონაწილეობა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის წარმომადგენელს დროულად და სათანადო ფორმით არ ჩაბარდა სასამართლოში გამოძახების უწყება; თუ იმავე სამართლებრივ დავაზე იმავე მხარეებს შორის ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, სადაც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დაწესებულებების მიერ ადრე აღძრული იყო წარმოება მოცემულ საქმეზე; თუ ამ ხელშეკრულების დებულებების თანახმად, ან ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს

გადანყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მის დაწესებულებათა განსაკუთრებულ კომპეტენციას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“, რომლის მიხედვითაც, გადანყვეტილების მცნობი სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადანყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებაზე.

ამ მხრივ სახელმწიფოთა მიერ სხვა ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებაზე უარის თქმის საუკეთესო საშუალებად აღიარებულია დათქმა „საჯარო წესრიგის შესახებ“. გარდა ამისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს გადანყვეტილების ცნობაზე უარის თქმის სხვა შემთხვევებსაც. ასე, მაგალითად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: გადანყვეტილების ცნობა არ მოხდება, თუ, ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადანყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადანყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადანყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადანყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის (ე.წ. „მინსკის კონვენცია“) 51-ე მუხლის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობებით ცნობს და აღასრულებს სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე გამოტანილ იუსტიციის დაწესებულებათა გადანყვეტილებებს სამოქალაქო და

საოჯახო საქმეებზე, ხოლო კონვენციის 53-ე მუხლი კი, ითვალისწინებს, რომ შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნის ფარგლებში ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის 51-ე და 53-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 2-ე და 68-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „ბ-ის“ წარმომადგენლის გ. უ.-ის შუამდგომლობა უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს (საქმე № ..) გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ს-ას“ (ს/კ ...) შპს „ბ-ის“ (ს/კ ...) სასარგებლოდ დაეკისრა .. წლის .. მაისის №.. კონტრაქტით 185038 აშშ

დოლარისა და 29 ცენტის ძირითადი ვალის, 14116 აშშ დოლარისა და 47 ცენტის საურავის, აგრეთვე, წლიური 3%-ის – 5901 აშშ დოლარისა და 89 ცენტის გადახდა;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკიეპელი

### 1. ვალდებულებითი სამართალი

|                        |                          |
|------------------------|--------------------------|
| თანხის დაკისრება ..... | 3; 7; 10; 13; 16; 21; 24 |
| სესხი .....            | 29                       |
| ნასყიდობა .....        | 32; 38                   |

### 2. საოჯახო სამართალი

|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| ალიმენტი .....                        | 43; 45; 47; 51; 55; 59; 64; 68  |
| განქორწინება .....                    | 71; 73; 76; 78; 80; 83; 86; 88; 92; 95;<br>97; 99; 101; 104; 406; 109; 111; |
| მზრუნველობა .....                     | 114   |
| მეურვეობა .....                       | 118; 122  |
| ბავშვთან ურთიერთობის განსაზღვრა ..... | 127   |
| შვილად აყვანა .....                   | 132   |

### 3. მემკვიდრეობითი სამართალი .....

### 4. სამოქალაქო პროცესი .....

### 5. სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია .....

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 2982103  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)